89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“

ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №11-12 {7065) 15 ივნისი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

საქართველოს ყველა მოქალაქის დღე!

26 მაისი—ჩვენი სამშობლოს, საქართველოს, მისი ყველა მოქალაქის უპირველესი საერთო-სახალხო დღესასწაულია. დღე, რომელიც გვეკუთვნის ყველას.

1918 წლის 26 მაისს, ეროვნული კრების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 104 წელი გავიდა.

წლევანდელ ზეიმს სხვადასხვა ფორმით შეუერთდნენ ჩვენი მეგობარი ქვეყნების დედაქალაქები. მრავალფეროვანი ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის თერჯოლის მუნიციპალიტეტში, დღის მთავარი ღონისძიება კი დედაქალაქში გაიმართა. საჯარისო ნაწილების, ახალწვეულებს და კადეტებს, რომლებმაც სამშობლოს ერთულების ფიცი დადეს საქართველოს ექვს ისტორიულ ადგილზე, სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა და თავდაცვის ძალების მეთაურმა. დასასრულს, თავისუფლების მოედანს, სამხედრო თვითმფრინავებმა გადაუფრინეს, რომლებმაც თბილისის თავზე ქართული დროშების ფერები დატოვეს.

ფიცი სამშობლოს ერთგულებაზე...

დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ქალაქ თერჯოლაში, მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით არაერთი სხვადასხვა სახის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ემოციურად ერთობ დატვირთული იყო მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელებისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ქალაქ თერჯოლის №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და მათი პედაგოგების საზეიმო მსვლელობა რუსთაველის ქუჩაზე— ქალაქის ცენტრიდან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა მემორიალამდე და პატარების მიერ იფიცის დადების ცერემონიალი.

☞2

წარმატებებს გისურვებთ ცხოვრების ახალ გზაზე!

20 მაისს განსაკუთრებულად საზეიმო დღე იყო თერჯოლელი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, ამ დღეს 302 კურსდამთავრებულისთვის დაირეკა ბოლო ზარი.

ქალაქ თერჯოლის №1 და ძევრის საჯარო სკოლებში საზეიმო ღონისძიებებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი შეუერთდნენ, რომლებმაც პირებმა კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

ლაშა გოგიაშვილი: **„მინდა, ყველას მოგილოცოთ სკოლის დამთავრება, ცხოვრების სრულიად ახალი და საინტერესო ეტაპის დაწყება, ახალი გამოწვევებით, ურთიერთობებით, მეგობრებით, ცოდნისა და განვითარების ახალი პერსპექტივებით. დღეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა თქვენს ცხოვრებაში, განსაკუთრებული ემოციებით და სიყვარულით დატვირთული, ამავდროულად დიდი პასუხისმგებლობა საკუთარი მომავლის, ოჯახისა და ქვეყნის წინაშე. მჯერა, რომ თითოეული თქვენგანი იპოვის ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში. გისურვებთ წარმატებებს და დასახული მიზნების განხორციელებას “.**

გიორგი ბარათაშვილი: **„დღეს სიმბოლური თარიღია, ძევრის საჯარო სკოლას დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამ დღეებში სკოლაში განსაკუთრებული სიხალისე იგრძნობოდა. სკოლის დრო მართლაც დაუვიწყარი პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში, გილოცავთ თითოეულ თქვენგანს, გისურვებთ წარმატებებსა და წინსვლას. ვისურვებდი თქვენი შესაძლებლობები ჩვენი მუნიციტალიტეტის განვითარებისთვის გამოიყენოთ“.**

ახალგაზრდებმა საყვარელ გარემოში გატარებული წლები გაიხსენეს, თანატოლებს მაისურებზე სამახსოვრო წარწერები დაუტოვეს, მადლობა გადაუხადეს აღმზრდელ პედაგოგებს გაწეული ღვაწლისთვის და სკოლის კედლები მომავლის წარმატების იმედით დატოვეს.

ზურა ჩიტიძე, ქალაქ თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე: **„ჩვენს სკოლაში ძალიან მეგობრული გარემოა, პედაგოგები ყოველთვის ცდილობდნენ საგაკვეთილო პროცესი სასიამოვნო და საინტერესო ყოფილიყო. სკოლა ჩემთვის მეორე ოჯახია. დღეს ბოლო ზარია და ძნელია ემოციების შეკავება. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს პედაგოგებსა და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი მოგონებების შექმნისთვის”.**

საზეიმო ღონისძიებებს საკრებულოს წევრები, ელისო მურადაშვილი, მანუჩარ ფანჩულიძე, ჯემალ ისაკაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქეთევან შეყრილაძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

მიუძღვნეს სამშობლოს...

მშვენიერების გზას მრავალი თაობა ეზიარა თერჯოლის მუსიკალურ სკოლაში. აქ ასწავლიან არა მარტო მუსიკას, არამედ მუსიკის წარმოშობის ისტორიას. ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ცხოვრებასა და შემოქმედებას. სასწავლებელში მრავლად

არიან მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, მათ ასწავლიან საქმეზე, ბავშვებზე შეყვარებული კვალიფიციური სპეციალისტები. მუსიკალურ სკოლაში ხშირად ტარდება საინტერესო ღონისძიებები, მონაწილენი ამჟღავნებენ ნიჭს, უნარს და მოწონებას იმსახურებენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი კარგად იყო ორგანიზებული, ეხმიანებოდა იგი ჩვენი ეროვნული დღესასწაულის სულისკვეთებას.

კონცერტი საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. იგი სკოლის გაერთიანებულმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა (კონცერტმეისტერი და გუნდის ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი). შემდეგ კი აჟღერდა უკვდავი მელოდიები— ჩხეიძე, ყანჩელი, გრეჩანინოვი, მერაბიშვილი, ლობჟანიძე, ჟილინსკი, ხაჩატურიანი, არაბიძე, თევდორაძე, ცინცაძე, ფოცხვერაშვილი, მაიკაპარი, ბენდა, სმირნოვა, ღალიძე, სებისკვერაძე, კონცერტში მონაწილეობდა ათეულობით მოსწავლე, თითქმის ყველა პედაგოგის კლასიდან.

დამსწრეთ მოისმინეს „სულიკო“, „საქართველო“— სიმღერები გაერთიანებული გუნდის შესრულებით, გამოვიდა ხალხურ საკრავთა ანსამბლი, აჟღერდა რახმანინოვი, რომელიც ვალერი ჭოლაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ვალერი კუბლაშვილის მიერ ლაღიძის „თბილისოს“ შესრულებას ხანგრძლივი ტაშით შეხვდა დარბაზი. მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა მრავლისმთქმელი წინადადებით შეაფასა მუსიკალური სკოლის მიერ ამ კონკრეტული კონცერტის დონე, მოეწონა პატარა „მუსიკოსები“ და პატივისცემა გამოხატა პედაგოგების მიმართ. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტს ესწრებოდნენ: ღვანკითის სამების სახელობის ეკლესიის მოძღვარი მამა ანდრია (ყიფიანი), განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი გურამ თურქაძე, სახელოვნებო, განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი სოსო დევიძე, მერიის სხვა თანამშრომლები, მუსიკალური სკოლის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, სხვა მოწვეული სტუმრები. მუსიკალური სკოლის თითოეულ პედაგოგს სახელოვნებო, განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალურმა ცენტრმა სიგელები გადასცა.

ჟუჟუნა ცხადაძე

დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა! ფიცი სამშობლოს ერთგულებაზე...

1☞

სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონია გაიმართა სკანდეს ისტორიულ ციხეზე.

დამოუკიდებლობის დღე-26 მაისი, მოსახლეობას პირადად მიულოცეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა.

,,სრულიად საქართველოს ვულოცავ დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისი თითოეული ქართველისთვის არის თავისუფლების ზეიმი.

ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის. ამ მიზნისთვის საქართველომ ბევრ განსაცდელს გაუძლო. დღეს საქართველო მზად არის დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს, რომელთანაც გვაკავშირებს საერთო ისტორია, მიზნები და ღირებულებები. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ქვეყანა და ქართველი ერი“—ლაშა გოგიაშვილი.

საზეიმო ღონისძიებას გოდოგნის საჯარო სკოლაც შეურთდა. პედაგოგების ინიციატივით ღვაწლმოსილ, დამსახურებულ პედაგოგს, ეთერ ურუშაძეს საზეიმოდ ვარსკვლავი გაუხსნეს და თაობების ღირსეულად აღზრდის საქმეში მადლობა გადაუხადეს.

ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მოსწავლეები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

თანადგომა უკრაინელებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია განაგრძობს უკრაინის მოქალაქეების დახმარებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი უკრაინიდან საომარი მოქმედებების შედეგად ჩამოსულ ოჯახებს ესტუმრნენ, საკვები პროდუქტები გადასცეს, დამატებითი საჭიროებების შესახებ ესაუბრნენ და თანადგომას დაჰპირდნენ.

უკრაინის მოქალაქეები საქართველოში ხარკოვიდან, მარიუპოლიდან, ასევე ხერსონიდან ჩამოვიდნენ და დროებით ჩვენს ქვეყანაში, მასპინძელ ოჯახებში აპირებენ ცხოვრებას.

არაერთგზის მოეწყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, უკრაინელი მოსახლეობის დასახმარებლად სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქცია, რომლის ფარგლებში პირველადი დახმარების სამედიცინო საგნების, სურსათისა და სხვა საჭირო ნივთების შეგროვება და შემდგომ უკრაინელ მოქალაქეებზე გადაცემა მოხდა.

მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან აღნიშნული ოჯახების მიმართ თანადგომა გაგრძელდება, ვიდრე ამის საჭიროება იქნება.

ყველაფერი საუკეთესო პატარებს

საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მასშტაბით 5 ახალი საბავშვო ბაღი

აშენდა, ამ დროისთვის კი მშენებლობა ქალაქ თერჯოლასა და სოფელ ზედა საზანოში მიმდინარეობს.

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, ალისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი, ბადრი ბუცხრიკიძე და მერის წარმომადგენელი, იაგო აბჟანდაძე ალისუბნის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღების პედაგოგებს, მშობლებსა და აღსაზრდელებს ეწვივნენ.

სტუმრებმა ადგილზე დაათვალიერეს საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა და ასევე სამომავლო გეგმებსა და დამატებით საჭიროებებზე ისაუბრეს.

დღესვე ბაღის ორგანიზებით, აღსაზრდელებმა მხატვრული ღონისძიება გამართეს, სადაც კიდევ ერთი ჯგუფი დაემშვიდობა საბავშვო ბაღის კედლებს.

ხელმძღვანელმა პირებმა პედაგოგებს დაუღალავი შრომისათვის მადლობა გადაუხადეს და პატარებს სკოლისკენ მიმავალ გზაზე წარმატებები უსურვეს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესი 30 ივნისს დასრულდება.

☞3

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

2☞

დათო რობაქიძის მორიგი საერთაშორისო წარმატება!

თბილისის ,, Grand Prix Karate 2022-ის " გამარჯვებული თერჯოლელი, დათო რობაქიძე გახდა.

საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 15-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, სხვადასხვა წონით კატეგორიაში, 12-13 წლამდე ასაკის სპორტსმენებში პირველი ადგილი დათო რობაქიძემ დაიკავა.

დათო რობაქიძე, არაერთგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონია, ასევე საერთო ჯამში სხვადასხვა წონით კატეგორიებში მიღებული აქვს 27 ოქროს, 6 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი.

,,ძალიან მახარებს და მეამაყება, როდესაც თერჯოლელი ახალგაზრდები ღირსეულად წარმოაჩენენ ჩვენს მუნიციპალიტეტს. ვულოცავ დათოს ამ დიდ გამარჯვებას და სამომავლოდ წარმატებას ვუსურვებ. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით ხელი შევუწყოთ ახალგაზრდა სპორტსმენების თვითრეალიზებას და კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღწევას"—განაცხადა მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, რომელმაც პირადად მიულოცა ახალი გამარჯვება ახალგაზრდა სპორტსმენს.

შენდება ახალი საბავშვო ბაღი

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ქალაქ თერჯოლაში, მე-3 ბაღის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, გოდერძი თურქაძესთან ერთად ადგილზე დაათვალიერა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

პროექტის ფარგლებში 120 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ამხანაგობა ,,მაქსიმუმი" ახორციელებს. აღნიშნული პროექტის ღირებულება 2 243 845 ლარს შეადგენს.

ბოლო პერიოდის განმავლობაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში 5 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა.

გელით ნავენახევის მღვიმე!

ნავენახევის მღვიმე ვიზიტორებისთვის ღიაა!

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილთან და თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ნავენახევის მღვიმე დაათვალიერა.

,,ნავენახევის მღვიმემ ვიზიტორების მიღება განაახლა. მღვიმის უსაფრთხოება სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სათაფლიასა და პრომეთეს მღვიმეებთან ერთად, ნავენახევის მღვიმე კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ვიზიტორებისთვის იმერეთის რეგიონს", - აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ.

ნავენახევის მღვიმე საქართველოში პირველი ეკოტურისტული მღვიმეა, რომელსაც ერთი შესასვლელ-გამოსასვლელი გააჩნია. იმისთვის, რომ მაქსიმალურად მაღალ სტანდარტებზე მორგებულიყო მღვიმის უსაფრთხოება, დაცული ტერიტორიების სააგენტომ მიმართა მსოფლიოს წამყვან ფრანგულ ორგანიზაციას BUREAU VERITAS. მღვიმის შემოწმებისა და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე მასერტიფიცირებელმა ორგანომ ნავენახევის მღვიმეს უსაფრთხოების დამადასტურებელი სერტიფიკატი მიანიჭა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, 2018 წელს, ნავენახევის მღვიმეში მოხდა ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. მათ შორის, აშენდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი ვიზიტორთა ცენტრი და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა.

ადგილზე თქვენ დაგხვდებათ:
ვიზიტორთა ოთახი,
ამფითეატრი,
კაფეტერია,
სუვენირების მაღაზია,
საგანმანათლებლო სივრცე,
საბავშვო გასართობი სივრცე.

აქ მღვიმის დასათვალიერებლად მოსული ვიზიტორები ოჯახთან და მეგობრებთან ერთად დროის სასიამოვნო გატარებას შეძლებენ.

ნავენახევის მღვიმე განსხვავებული ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით გამორჩეული 250 მეტრის სიგრძის ორსართულიანი და 4 დარბაზიანი მღვიმეა.

ნავენახევის მღვიმე ვიზიტორებს ყოველ დღე 10:00 დან 18:00 საათამდე უმასპინძლებს.

☞6

დაბრუნება საქართველოში

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა—უკრაინა ახლა ომშია...

უკრაინის მეგობარმა საქართველომაც მიიღო იქაური მოქალაქეები და ახლა ისინი თავს ისე გრძნობენ, თითქოს სახლში იყვნენ, მაგრამ მაინც ძნელია... უკრაინაში ბევრი ქართველი ცხოვრობს, იქ განიცადეს მათ მშვიდობიანი ცხოვრების სიტკბოება და ომის საშინელებაც... ბევრი ქართველი დაუბრუნდა მშობლიურ კერას...

დაბრუნდა ჭოგნარელი ჯიმშერ ელიავაც, მეუღლესთან და ორ შვილთან გიორგი და ანნა ელიავებთან ერთად. ჩვიდმეტი წლის წინ წავიდა ბატონი ჯიმშერი უკრაინაში, მაშინ ოცი წლის იყო...

გულთბილად მიიღეს ოჯახში, ძმამ შოთა ელიავამ, შოთას მეუღლემ და მათმა შვილებმა, მშობლებისათვის შვილის, რძლისა და შვილიშვილების დაბრუნება ნამდვილი დღესასწაული იყო, მაგრამ, როგორც თვითოეულ ჩვენგანს, მათ მითუმეტეს, აწუხებთ უკრაინის და მისი ხალხის ბედი, ოცნებობენ მშვიდობაზე, ომის დამთავრებაზე...

ჯიმშერი ელიავა ხარკოვში ცხოვრობდა, ჰქონდა საკუთარი კეთილმოწყობილი სახლი, მრავალი ბიზნესი, ყველაფერი ერთ დღეში გაუნადგურდა, როცა სახლს ბომბი დაეცა. გადარჩნენ, ,,დავკარგე ყველაფერი, რაც ჩვიდმეტი წლის მანძილზე შევქმენი, მაგრამ იმედი არასდროს დამიკარგავს, ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნია გვერდით მყავს, არ მასვენებს მეგობრებზე, ახლობლებზე ფიქრი,

არც მომავალია გარკვეული, ძნელია ყველაფრის თავიდან დაწყება, ძნელია გაიაზრო რა იქნება ხვალ, მაგრამ სულით არ დავეცემი"—ამბობს, ბატონი ჯიმშერი, მაგრამ თანადგომა რომ სჭირდება, ფაქტია.

ჯიმშერისა და მირანდას შვილები ჭოგნარის საჯარო სკოლაში სწავლობენ, გიორგი მეხუთე კლასშია, ანნა მესამეში. ორივემ იცის სალაპარაკო ქართული, ადვილად აითვისეს წერა-კითხვაც, ეხმარებათ დედა, რომელიც პროფესიით პედაგოგია. ანნას კლასის დამრიგებელი და ქართული ენის პედაგოგი თამარ შონია ამბობს, რომ ანნა ნიჭიერია, ადვილად აითვისა წერა-კითხვა, კონტაქტურია, თბილი, კლასელები დაუმეგობრდნენ. გიორგი, დამრიგებლის ინგა ხვედელიძის თქმით მალე ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იქნება, ქართულის მასწავლებელი მარიტა ციცრიძე ბევრს მუშაობს, რათა გიორგის საფუძვლიანად შეასწავლოს ქართული და შეაყვაროს ქართულის გაკვეთილები.

ჭოგნარის საჯარო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა, დირექციამ და მოსწავლეებმა თბილი, ემოციური შეხვედრა მოუწყო გიორგის და ანნას. გაცნობითი ღონისძიება კლასებში გახსნა სკოლის დირექტორმა ამირან ელიავამ, ღონისძიების ძირითად ნაწილს

კლასის ხელმძღვანელები უძღვებოდნენ. შეხვედრის ღონისძიებაზე შეასრულეს უკრაინისა და საქართველოს ჰიმნები, მოსწავლეებმა ერთმანეთი გაიცვნეს, სიმბოლური საჩუქრებიც მიიღეს.

და დაფუძვდნენ ჭოგნარის საჯარო სკოლაში, ჩვენი ქართველები გიორგი და ანნა, უკრაინაში დაბადებულები, მაგრამ ქართული სულით აღზრდილები, დატოვეს ხარკოვის №103 სკოლა და გამოჰყვათ მონატრება, მაგრამ საქართველო ხომ მათი სამშობლოა, ჭოგნარი კი ადგილის დედა...

ჟუჟუნა ცხადაძე

წყალი—სიცოცხლის ელექსირი

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყლით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყლის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივნისის დადგენილების გამო.

ბოლო წლებში მოხშირებული მაღალი ატმოსფერული ტემპერატურით გამოწვეული გვალვების გამო სულ უფრო და უფრო აქტიური ხდება მოსახლეობის სასმელი თუ ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის პრობლემა.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თერჯოლის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და მუშაობაც რამდენიმეზე მიდის. მალე ახალი წყალსადენი ექნებათ ახალთერჯოლელებს, რუფოთელებს, გოდოგნელებს, ნაგარეველებს და სხვა არაერთი სოფლის მაცხოვრებლებს. მარტო ბოლო წლებში ასეთ პროექტებზე 16 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, მიმდინარე სამუშაოების დასამთავრებლად კი 7 მლნ ლარი დაიხარჯება.

დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სოფლების ტექნიკური წყლით მომარაგებას ანხორციელებს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური ცენტრი“, რომელიც მომსახურეობას უწევს 13 სოფელს, სადაც აბონენტთა (კომლთა) რაოდენობა ჯამში შეადგენს 5453 ოჯახს. მათ შორის მოწესრიგებული აქვს აღრიცხვის კვანძი (მრიცხველი) 8 სოფელში 3893 აბონენტს, ხოლო 5 სოფელში 1560 აბონენტი გამრიცხველიანებული არაა.

ამჟამად ტექნიკური წყლის სოფლებზე მიწოდების სურათი ასეთია:

სოფელი გოდოგანი. 839 კომლიდან ტექნიკური წყალი მიეწოდება 231 კომლს. აღრიცხვა ხდება ინდივიდუალური მრიცხველებით.

სოფელი ჭოგნარი. 609 კომლიდან მიეწოდება 516 კომლს, აღრიცხვა ხდება ინდივიდუალური მრიცხველებით.

სოფელი კვახჭირი. 577 კომლიდან მიეწოდება 397 კომლს, აღრიცხვა ხდება ინდივიდუალური მრიცხველებით.

სოფელი ქვ. სიმონეთი. 880 კომლიდან მიეწოდება 104 კომლს, აღრიცხვა შესაძლებელია ინდივიდუალური მრიცხველებით.

სოფელი ბარდუბანი. 788 კომლიდან მიეწოდება 750 კომლს, აღრიცხვა შესაძლებელია ინდივიდუალური მრიცხველებით.

სოფელი სიქთარვა. 757 კომლიდან მიეწოდება 650 კომლს, აღრიცხვა შესაძლებელია ინდივიდუალური მრიცხველებით.

სოფელი ღვანკითი. ღვანკითი 696 კომლიდან მიეწოდება 500 კომლს, აღრიცხვა შესაძლებელია ინდივიდუალური მრიცხველებით.

სოფელი ჩხარი. 480 კომლიდან მიეწოდება 450 კომლს, მოხმარებული ტექნიკური წყლის საფასურის დარიცხვა შესაძლებელია სულადობის მიხედვით.

სოფელი გოგნი. 185 კომლიდან მიეწოდება 60 კომლს, მოხმარებული ტექნიკური წყლის საფასურის დარიცხვა შესაძლებელია სულადობის მიხედვით.

სოფელი ძევრი. 636 კომლიდან მიეწოდება 550 კომლს, მოხმარებული ტექნიკური წყლის საფასურის დარიცხვა შესაძლებელია სულადობის მიხედვით.

სოფელი აღისუბანი. 1127 კომლიდან მიეწოდება 400 კომლს, მოხმარებული ტექნიკური წყლის საფასურის დარიცხვა შესაძლებელია სულადობის მიხედვით.

სოფელი საზანო. 1215 კომლიდან მიეწოდება 100 კომლს, მოხმარებული ტექნიკური წყლის საფასურის დარიცხვა შესაძლებელია სულადობის მიხედვით.

მრიცხველიანი აბონენტებიდან 3893 აბონენტიდან შესაძლებელია ამოღებულ იქნას ყოველთვიურად 19 465 ლარი (საშუალოდ თვეში 5 ლარის გაანგარიშებით), ხოლო უმრიცხველო 1560 აბონენტებიდან 7 020 ლარი, რომელიც იანგარიშება შემდეგი წესით- აბონენტების რაოდენობა მრავლდება საშუალოდ 3 სულზე და მრავლდება 1 სულზე დაწესებული ტექნიკური წყლის საფასურით, რომელიც შეადგენს 1,5 ლარს).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

სულ საპროგნოზო შემოსავალია თვეში 26 486, ხოლო წლიური 26486X12= 317,820 ლარს.

ამ დროისათვის მოსახლეობისათვის ტექნიკური წყლის შეუფერხებელ მიწოდების უზრუნველსაყოფად, ა(ა)იპ-ს უწევს ადმინისტრაციული და საწარმოო დანახარჯების გაღება, რომელიც შეადგენს ჯამში 580 000-ლარს. აქედან:

შტატით (27 თანამშრომელი) და შტატგარეშე (18 თანამშრომელი) მოსამსახურეთა სახელფასო ფონდი 45 თანაშრომელზე ჯამში შეადგენს 241 590 ლარი, წელიწადში.

ელექტროენერგიის ხარჯი 156 000 ლარი, წელიწადში.

მასალები და მარაგები (მილები, სამკაპები, ფიტინგები, ტუმბოები) 60 000 ლარი, წელიწადში.

საწვავი, რემონტი, დაზღვევა და სხვა ხარჯები 123 000 ლარი.

საწარმოს მიერ მიღებულმა შემოსავალმა კი წყალმომარაგების მიმართულებით გასულ წელს შეადგინა მხოლოდ 25 000 ლარი.

გასულ წელს საწარმო ახორციელებდა თანხის ამოღებას მხოლოდ სოფელ ჭოგნარის 516 აბონენტიდან და სოფელ გოდოგნის 231 აბონეტიდან ნაწილობრივ.

როგორც ანალიზიდან ჩანს არსებული წყალსადენის ფუნქციონირების ხარჯები თითქმის 20-ჯერ და მეტად უფრო დიდია ვიდრე შემოსავლები, ასე თუ გაგრძელდა წყალსადენის შენახვა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება, რაც მათ მწყობრიდან გამოსვლას გამოიწვევს. გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთია გამრიცხველიანება, ტარიფების დაწესება და თანხების ამოღება.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაც ასე მოიქცა— მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ სხვა სამსახურებთან ერთად გაწეული იქნა ნაყოფიერი მუშაობა იმ სახელმძღვანელო დოკუმენტების პაკეტის მოსამზადებლად, რომელიც შემდგომში მუნიციპალიტეტის მერიამ დასამტკიცებლად წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

დოკუმენტების ამ პაკეტზე 2022 წლის 1 ივნისს იმსჯელა მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მიიღო შესაბამისი დადგენილება (№12 1.06.22, რომელსაც აქვე გთავაზობთ).

საკრებულოს სხდომის შემდეგ ჩვენთან საუბარში საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ბარათაშვილმა** განაცხადა:

„საკრებულოს სხდომაზე, რომელმაც მოსახლეობის ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ დადგენილება მიიღო



თქვენც ესწრებოდით და ალბათ ყურადღება მიაქციეთ ამ ფაქტს, რომ დადგენილებას, მხარი პრაქტიკულად ყველა დეპუტატმა დაუჭირა, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებმა. ჩვენ ამას ველოდებით, რადგან ამ მნიშვნელოვანი საკითხის მომზადებაში, რომელიც მერიამ წარმოგვიდგინა, მის შესაბამის სამსახურთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საკრებულოს კომისიები.

მოხმარებულ ტექნიკურ წყალზე ტარიფების დადგენა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება აუცილებელი იყო, რადგან ბოლო ორ წელიწადში წყალსადენები არაერთ სოფელში მოეწყო და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება.

ბუნებრივია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი შენახვის ხარჯებიც, შემოსავლები კი ფაქტიურად მიზერულია...

კარგია, რომ მოსახლეობა სწორად რეაგირებს ჩვენს ამ ნაბიჯზე, ისინი თვლიან, რომ წყალი თუ ექნებათ, არ იქნება გადახდის პრობლემა.

მათი ასეთი პოზიცია ჩვენ იმის იმედს გვაძლევს, რომ დაწყებული საქმე უფრო ეფექტურად გავაგრძელოთ, არსებული წყალსადენებიც კარგად შევინახოთ და ახლებიც მოვაწყოთ, სამომავლოდ კი შესაბამისი ტექნიკური მოდერიზაციით შევძლოთ წყლის არსებული რესურსის უსაფრთხო სასმელ წყლად გარდაქმნა“.

☞5

წყალი—სიცოცხლის ელექსირი

4 ☞

ჩვენ მიღებულ დოკუმენტთა დიდი მოცულობის გამო მათ ვერ ვაქვეყნებთ, მაგრამ გაგაცნობთ დადგენილებაში მითითებული დანართების ჩამონათვალს და ამონარიდს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყლით მომარაგების) მიწოდება/მოხმარების რეგულირების წესიდან.

ეს დანართებია:

დანართი №1

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყლით მომარაგების) მიწოდება/მოხმარების რეგულირების წესი.

დანართი №2

ტექნიკური წყლის (წყალმომარაგების) მიწოდების ხელშეკრულება №— — —

დანართი №3

ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური“ აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტი №

საყურადღებოა და მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინებით ტარიფები მინიმალურია და ამასთან, საშეღავათო ჩამონათვალის კატეგორიების ჩამოთვალიც სოლიდურად გამოიყურება.

ტექნიკური წყლით მომსახურების ზოგადი პირობები და დაწესებული შეღავათები

1.წყალმომარაგების ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მომხმარებელს ტექნიკური წყალი მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო მომხმარებელი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მიღებული (მოხმარებული) ტექნიკური წყლის საფასური და ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

2. ეს წესები, და ამ წესების საფუძველზე, მომზადებული მიწოდების ხელშეკრულება, ტექნიკური წყლის მომხმარებელისთვის, წარმოადგენს, ძირითად იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს მიმწოდებელისა და მომხმარებლის უფლებამოვალეობებს, ტექნიკური წყლის ყიდვის, გაყიდვის, მიწოდებისა ან/და მოხმარების დროს.

3. ეს წესი წარმოადგენს წყალმომარაგების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის წყალმომარაგების ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ფორმით.

5. მომხმარებელთან გაფორმებული წყალმომარაგების ხელშეკრულების პირობები უნდა შეესაბამებოდეს ამ წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. მიმწოდებელს უფლება არ აქვს მომხმარებელთან გააფორმოს ისეთი სახის ხელშეკრულება ან/და დადოს მასთან ისეთი სახის გარიგება, რომლის შინაარსი ან/და პირობა ეწინააღმდეგება ამ წესებს.

7. მომხმარებელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს წყალმომარაგების მიმწოდებელს (ლიცენზიატს) იურიდიულ მისამართზე (სამუშაო საათებში).

8. წყალმომარაგების მიმწოდებელმა (ლიცენზიატმა) უნდა უზრუნველყოს კომპანიის წარმომადგენელთა შესაბამისი ნიშნით იდენტიფიცირების შესაძლებლობა, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ მომხმარებელთან.

9. წყალმომარაგების მიმწოდებელმა (ლიცენზიატმა) მომხმარებლის განცხადებას დასაბუთებული პასუხი უნდა გასცეს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ამასთან, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის (უარის) შემთხვევაში, განმცხადებელს უნდა გაეგზავნოს დასაბუთებული პასუხი. ხოლო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მომხმარებლის განცხადებაზე არ არის აუცილებელი დასაბუთებული პასუხის გაცემა, თუ:

ა) ამ მოთხოვნაზე მოხდა სათანადო რეაგირება, რასაც მომხმარებელი ადასტურებს შესაბამის აქტზე ან/და ხელშეკრულებაზე ხელმოწერით;

ბ) განცხადების (მოთხოვნის) დაკმაყოფილების შესახებ, ინფორმაცია, მომხმარებელს მიეწოდა ტექსტური შეტყობინებით.

10. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეიტანს განაცხადს, მას პასუხი უნდა გაეგზავნოს იმავე ფორმით, რა ფორმითაც მოხდა აღნიშნული განაცხადის მიღება.

11. განცხადების (მოთხოვნის) დაკმაყოფილების შესახებ ტექსტური შეტყობინება უნდა შეიცავდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ მოკლე ინფორმაციას, განაცხადის რეგისტრაციის ნომერსა და თარიღს, ასევე:

ა) აბონენტის რეგისტრაციის (ან შეცვლის) შემთხვევაში – აბონენტის ნომერს, რეგისტრირებული მომხმარებლის სახელსა და გვარს (ან დასახელებას);

ბ) აქტის შედგენის შემთხვევაში – აქტის ნომერსა და შედგენის თარიღს;

გ) მრიცხველის დაყენების შემთხვევაში – მრიცხველის ჩვენებასა და თარიღს;

დ) ხელშეკრულების/შეთანხმების გაფორმების საჭიროების შემთხვევაში – მომსახურებაზე შეთავაზებულ ღირებულებას, შესრულების ვადასა და სტანდარტულ პირობებს.

12. მიმწოდებელი უფლებამოსილია შეიმუშაოს და მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი გახადოს სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის მოთხოვნის შესახებ განცხადების ტიპური ფორმები.

13. ამ წესების მიზნებისათვის ტექნიკური წყლის მომხმარებლები იყოფა ორ ჯგუფად:

ა) საყოფაცხოვრებო მომხმარებელი – ფიზიკური პირი, რომელიც ტექნიკურ წყალს ყიდულობს და მოიხმარს მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის;

ბ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი – საყოფაცხოვრებო მომხმარებლის გარდა ყველა სხვა მომხმარებელი.

14. ამ წესით გათვალისწინებული, მოხმარებული ტექნიკური წყლის საფასურის გადახდისგან, შესაძლებელია განთავისუფლდეს ან შეუმცირდეთ გადასახადი, შემდეგი საყოფაცხოვრებო მომხმარებლები, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) I და II ჯგუფის ინვალიდები, შესაბამისი დამადასტურებელი ფურცლის ან ცნობის საფუძველზე;

გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრები (რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველ ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მინიჭებული აქვთ 70000-მდე სარეიტინგო ქულა), შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს (სოციალური სააგენტო) გაცემული ცნობის საფუძველზე; დ) მრავალშვილიანი ოჯახები (სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილი);

ე) მარტოხელა მშობლის (მარტოხელა მამა ან მარტოხელა დედა) სტატუსის მქონე პირი;

ვ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული საქართველოს მოქალაქეები და ოჯახები;

ზ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, გამართულ საომარ მოქმედებებში და ბრძოლებში დაღუპული მეომართა ოჯახის წევრები და ოჯახები;

თ) ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომელთა პედაგოგიური საქმიანობა აღემატება 20 წელს.

ი) სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საოჯახო სასტუმროს მფლობელი მომხმარებლები მოხმარებული ტექნიკური წყლის საფასურის 50% -იანი შეღავათი, შესაბამის მარეგისტრირებელი ორგანოს (შემოსავლების სამსახურის ან საჯარო რეესტრის) ცნობის (ამონაწერის) საფუძველზე.

კ) აგრეთვე სხვა ნებისმიერი პირი, საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში.

15. ამ წესებში მითითებული ვადების ათვლა ხდება იმავე წესითა და პირობებით, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. სამუშაო დღე – გულისხმობს კალენდარულ დღეს, რომელიც არ წარმოადგენს შაბათს, კვირას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №12

2022 წლის 1 ივნისი ქ. თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყლით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყლის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „თ)“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლი მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.თ)“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

1. დადგინდეს ტექნიკური წყლის მიწოდების ტარიფი:

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 0.4 ლარით, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის – 1,0 ლარი.

ბ) გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, სულადობის მიხედვით – ერთ სულ მოსახლეზე 1,5 ლარის ოდენობით.

მუხლი 2

1. დადგინდეს, წყალმომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, რომელიც იანგარიშება, გამანაწილებელი ქსელის მაგისტრალიდან, ახალი მომხმარებლის აღრიცხვის კვანძის მოწყობის პუნქტამდე, მილის დიამეტრისა და მანძილის გათვალისწინებით და შეადგენს:

ტექნიკური წყლის მილის დიამეტრი- მმ (20), ტექნიკური წყლის წარმადობა, მ3 დღე-ღამეში (16-35), მიერთების მაქსიმალური პერიოდი, სამუშაო დღე (40), 0-დან 100 მეტრის რადიუსში მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით, ლარში (400), 100 დან 200 მეტრის რადიუსში, მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით, ლარში (500).

2. დადგინდეს მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასური:

ტექნიკური წყლის მრიცხველის მილის დიამეტრი, მმ (20), აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის ვადა (სამუშაო დღე) (15), მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასური (ლარი, დღგ-ის ჩათვლით) (100).

მუხლი 3

1. დამტკიცდეს: ა) „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყლით მომარაგების) რეგულირების წესი“ დანართი№1-ის მიხედვით.

ბ) ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმა, როგორც არასაყოფაცხოვრებო, ასევე საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის, დანართი №2-ის მიხედვით. გ) აღრიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტი დანართი №3 -ის მიხედვით.

მუხლი 4

განთავისუფლდეს, ტექნიკური წყლით მოხმარების საფასურის და შესაბამისად დაგროვებული დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალმომარაგების ქსელით მოსარგებლე საყოფაცხოვრებო მომხმარებლები და მიმწოდებელმა (ლიცენზიატმა), განახორციელოს ტექნიკური წყლის მიწოდების მომსახურეობის აღრიცხვა, მომხმარებლების მიერ მიწოდების ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, ხოლო ტექნიკური წყლის საფასურის დარიცხვა დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული წესითა და პირობებით, ამ დადგენილების 1-ლი მუხლით განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

მუხლი 5

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს და გაუწიოს ეტაპობრივად შესაბამისი ფინანსური დახმარება ტექნიკური წყლის მიმწოდებელს და ლიცენზიატს - ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალურ სამსახურს, იმ მიზნით, რომ შეიძინოს და დანერგოს სააღრიცხვო ელექტრონული სისტემები (ბილინგის სისტემა), სადაც შესაძლებელი იქნება მომხმარებელთა ელექტრონული ბაზის შექმნა, პროგრამულად გახარჯული ტექნიკური წყლის რაოდენობის და მოცულობის აღრიცხვა, მრიცხველის ჩვენებების და წარმოქმნილი დავალიანების ავტომატური გაანგარიშება, აბონენტთა დაყოფა კატეგორიებად და სხვა შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა ეფექტურ მომსახურეობას.

მუხლი 6

მიმწოდებელი (ლიცენზიატი) ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ დადგენილებით შემოღებული წესებითა და წყალმომარაგების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 7

დადგენილება, შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მუხლი 8 ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

3☞

ევროპის დღეების პროგრამით...

საქართველოში 2022 წელს ევროპის დღეების მეათედ გაიმართა. მას საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ანხორციელებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ჩართულობით, დავით და

სერგო კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ დირექტორის მოადგილე, ირინა შამილაძე, იმერეთის ბიუროს წარმომადგენელი, მარიკა ვაჭარაძე და კრიზისული კომუნიკაციის სპეციალისტი, დავით ძიძიშვილი უძღვებოდნენ.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი შეუერთდნენ.

ევროპის დღეების ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელობაზე, ევროპულ ღირებულებებსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„ევროპის დღეები 2022“ 9 მაისს დაიწყო და 25 მაისამდე გაგრძელდა, რომლის მიზანია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ჩართულობის გაზრდა.

ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯემალ ისაკაძე, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი, პედაგოგები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

კვლავ ინფრასტრუქტურული პროექტები...

თერჯოლაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე ილია ბეგიაშვილი და საქართველოს მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეგიონული კოორდინაციის სამმართველოს უფროსი შოთა კაკაბაძე იმყოფებოდნენ.

სტუმრები იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან, ზვიად შალამბერიძესთან და გუბერნატორის მოადგილესთან ბესიკ გოფოძესთან ერთად, თერჯოლის მერს ლაშა გოგიაშვილს, მერის მოადგილეებსა და საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ბარათაშვილს შეხვდნენ.

სამუშაო ფორმატში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები ადგილზე დაათვალიერეს, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და სიახლეებზე ისაუბრეს.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ორი სოფლის: ტელეფისა და რუფოთის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაიწყო.

პროექტის ფარგლებში ამ დროისთვის რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და წყალმომარაგების სრულიად ახალი სისტემის მოწყობა მიმდინარეობს .

მნიშვნელოვან პროექტებს შორის ასევე უნდა აღინიშნოს ღვანკითი -ავტობანის დამაკავშირებელი გზის პროექტი, რომლის ფარგლებში არმირებული ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, ცხაურები და ბოგირები მოეწყობა, პროექტი მიმდინარე წელს დასრულდება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პრიორიტეტი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაა, ამ მიმართულებით სოფელ ზედა საზანოში 100-მდე აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასკვნით ეტაპზეა.

ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ორსართულიანი იქნება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სათამაშო, სასადილო, სამზარეულო და საძინებელი ოთახები. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით.

საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

გარდა ამისა, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, სოფელ რუფოთის №1 და ქვედა სიმონეთის №2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ცენტრალური გათბობის სისტემა, შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, რეკრეაციული სივრცე და ღია სპორტული ინფრასტრუქტურა.

თერჯოლის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნეს ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც მუნიციპალიტეტი საქართველოს მთავრობის, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულიდან იღებს.

სასურველი სტუმრები...

ახლახანს ბარდუბნის საჯარო სკოლა საპატიო სტუმრებს მასპინძლობდა. სკოლაში თერჯოლის

მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, ფერმწერი და ილუსტრატორი ნინო ჩაკვეტაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გურამ თურქაძე იმყოფებოდნენ.

სკოლის დირექტორმა გულო სულამანიძემ და პედაგოგებმა სტუმრებს სკოლის შემოქმედებითი ცხოვრება გააცნეს, სასკოლო ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინეს და დამატებითი საჭიროებების შესახებ ესაუბრნენ. მოსწავლეებმა კი მხატვრული ღონისძიება გამართეს, სადაც საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები წარმოაჩინეს.

ღონისძიების ფარგლებში, სტუმრებმა ბარდუბნის საჯარო სკოლას საჩუქრად წიგნები და ფერწერული ნახატები გადასცეს, პედაგოგებსა და მოსწავლეებს სასკოლო ცხოვრებაში დიდი წარმატებები უსურვეს.

თერჯოლამ ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის 2022 წლის შესარჩევ ტურს უმასპინძლა

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2022 წლის ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის შესარჩევი ტური გა-

იმართა, სადაც თერჯოლის, ტყიბულისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, ასევე სახვითი ხელოვნების ოსტატებმა მიიღეს მონაწილეობა .

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მერის მოადგილეები მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი, ასევე განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, გურამ თურქაძე ესწრებოდნენ.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მიზანია ქართული, ასევე საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა და ჟანრების ნიმუშთა მოძიება, საქართველოს თითოეულ კუთხესა და სოფელში ხალხური შემოქმედების დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია.

ეროვნული ფესტივალი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება.

„ბოლო ზარის“ ზეიმი და ფიქრები მომავალზე...

სექტემბერში, როცა კვლავ განახლდება სწავლა საჯარო სკოლებში, როცა კვლავ ახმიანდება სკოლის ზარი, გახსოვდეს:

ის შენ აღარ მოგიხმობს, მაგრამ მოგიხმობს უფრო ძლიერი, ყოვლისმომცველი ზარი, რათა მონახო თავი და ადგილი ცხოვრებაში. სიქთარვის საჯარო სკოლის XII კლასელები, დღეს უკვე კურსდამთავრებულები და ეროვნული გამოცდებისაკენ მიმართული მზერით, სკოლის დირექტორის ია კვატაიას თქმით, ერთ-ერთი საუკეთესო გამოშვებაა. კლასის ხელმძღვანელი მედეა მიქავა, რომელიც რვა წელია მათი კლასის ხელმძღვანელია, ამბობს, რომ—ისინი იყვნენ არა მარტო კარგი მოსწავლეები, არამედ არიან კარგად აღზრდილნი, სანიმუშო ყოფა-ქცევით. მათ გაცნობიერებული აქვთ ცხოვრების არსი და მიზანი, ადვილად აირჩევენ სამომავლო გზას და სად უფრო იქნებიან რეალიზებულნი. გიგი ჯიქიძის, მარი რობაქიძის, საბა მემანიშვილის, დავით შალამბერიძის, დავით გვენეტაძის, ნინი ჩაფიძის, რეზი ჩაფიძის უახლოესი მიზანი—ეროვნული გამოცდების ჩაბარება და სასურველი პროფესიის დაუფლებაა.

***

ლამაზი იყო 20 მაისის ბოლო ზარის ზეიმი. სიქთარვის საჯარო სკოლის მისაღები კი ყვავილებითაა მორთული, თითოეულისათვის პატარა მაგიდა და სკამები, ფართო ეკრანიანი ტელევიზორი, სადაც უჩვენეს, კურსდამთავრებულთა მიერ განვლილი გზის ეპიზოდები—სულ პატარაობიდან დიდობამდე, ინტელექტუალურ თამაშობებამდე და იყო მხიარული განწყობა. ეს იყო შემთხვევა, როცა ყველაფერი მზამზარეული დახვდათ, აქ ყველა ერთ საქმეს აკეთებდა, ყველას უნდოდა წვლილი შეემატა საერთო ღონისძიებაში. ☞9

დღეს განსაკუთრებული დღეა...

„ძალიან ვღელავ, დღეს განსაკუთრებული დღეა... ჩვენს საგამოფენო დარბაზში არც ერთი ჩვენი სკოლის მოსწავლის ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი. სახვითი ხელოვნების მოყვარულ ჩვენს დამთვალიერებლებს დღეს სრულიად განსხვავებული გამოფენა შემოგთავაზეთ... ვღელავ იმიტომ, რომ ეს გამოფენა მთლიანად დავუთმეთ ამ სკოლის აღზრდილ და ამჟამად ამავე სკოლის პედაგოგების ნამუშევრებს, ასევე—ამ სკოლის აღზრდილი ყოფილი მოსწავლეების შემოქმედებას, რომლებიც სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ, მაგრამ აქედან გაყოლილი სითბო და სიყვარული ხელოვნების ამ დარგისადმი მათში არ განელებულა, მეტიც, ისინი თურმე თავისუფალ დროს ძალზე საინტერესო ხელოვნების ნიმუშებს ჰქმნიან, ამის შესახებ მე ნამდვილად არ ვიცოდი...

ერთი სიტყვით, დღეს თქვენს წინაშეა ჩემი მოსწავლეების და მათი მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა—ასე მიმართა სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა მორიგ ვერნისაჟზე შეკრებილ საზოგადოებას.

შემდეგ ქალბატონმა თამარმა ისაუბრა გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების და მათი ავტორების შესახებ. ითქვა, რომ ამგვარი გამოფენის იდეა გაჩნდა მას შემდეგ, როცა საბა ძოწენიძემ თავისი ნამუშევრები მიიტანა სკოლაში და მათ გააცნო. გამოფენაზე ყველაზე მეტი სწორედ საბა ძოწენიძის ნახატებია წარმოდგენილი.

თამარმა ხაზი გაუსვა საბას პიროვნების განსაკუთრებულობას, ნიჭიერებას, ფსიქოლოგ-ფილოსოფოსობას, ასევე ლექსებისა და მუსიკის ავტორს და ა.შ. მის მიერ შესრულებული ნახატებიც ნამდვილად ასე წარმოაჩენენ მხატვრის შინაგან სამყაროს, არაორდინალურობას, შეიძლება ითქვას სამყაროსა და მოვლენების სხვა თვალით წვდომის უნარს, რაზედაც მისი ნამუშევრების დასათაურებაც მიანიშნებს: „ზამთრის ბოლო მზე“, „წითელი მთვარე“, „სიცოცხლის ყვავილი“, „ვირთხების ნავი“, „საიდან იწვიმებს“ და ა.შ. ერთი სიტყვით, თამარ ღარიბაშვილის შეფასებით საბას სახით ძალზე საინტერესო, ნიჭიერ შემოქმედთან გვაქვს საქმე...

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთე თეონა მაკარიძის, ნიკო ზარნაძის, საბა თურქაძის, ლიკა ხუჯაძის ფერწერისა, გრაფიკის, თუ ფერადი პლასტელინით შესრულებული მხატვრობის ნიმუშები.

თამარმა დასაწყისში თქვა, რომ დღეს ის ერთგვარი ანგარიშით წარსდგა რაიონის საზოგადოების წინაშე, როცა თავისი აღზრდილი პედაგოგების ნამუშევრები და მათი აღზრდილი ყოფილი მოსწავლეების ნამუშევრები წარუდგინა დამთვალიერებლებს... ამ პედაგოგთა სახელები კარგად იციან „თერჯოლას“ მკითხველებმა, თუმცა კიდევ ერთხელ შევახსენებთ— ეკა რიჟამაძე, ნინო ჩხიკვაძე,

თამთა მაჭარაშვილი და დარეჯან გოგბერაშვილი... ეს ის ადამიანები არიან, ასე წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობას რომ ეწევიან სამხატვრო სკოლაში და უკვე მრავალი თაობა აზიარეს მხატვრობასა და საერთოდ ხელოვნების საიდუმლოებას...

ერთი დიდი სიამოვნებაა მათი ნამუშევრების თვალის შევლება... აქ ყველაფერია: ნიჭი, იდეა, ხელწერა, პროფესიონალიზმი, ინდივიდუალობა, მყარად უპყრიათ ფუნჯი, თუ ყალამი და სხვადასხვა მასალისაგან საოცარი სილამაზის ნამუშევრებს ჰქმნიან...

23 მაისის გამოფენამ კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გააოცა დამთვალიერებლები, რომელთა შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის დირექტორს ქალბატონ თამარს და სკოლის პედაგოგებს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადეს ჯემიკო ისაკაძემ—მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მანუჩარ ფანჩულიძე ჩხარიძევრი-გოგნის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ძევრის საჯარო სკოლის დირექტორმა.

დიახ, ეს გამოფენა ნამდვილად ნებისმიერი ქალაქის დიდ საგამოფენო დარბაზს დაამშვენებდა...

სადაც პატარები სითბოსა და სიყვარულში იზრდებიან

უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლოა ის საქმიანობა, რასაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, ანუ საბავშვო ბაგა-ბაღები ეწევიან ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებისათვის. ამიტომაც ბუნებრივია და მისასალმებელიც ამ დაწესებულებების მიმართ ხელისუფალთა მზრუნველობა და ხელშეწყობა.

სკოლამდელი აღზრდის პროგრამა, თითოეული აღმზრდელის პატარებისადმი, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება იძლევა იმის საფუძველს, რომ პატარებმა წარმატებით გააგრძელონ სწავლა სკოლებში...

„კოვიდ პანდემიის“ გამო შეფერხებული მუშაობისა და დაპაუზებული აქტივობა-პრეზენტაციების შემდეგ „სიხარულის მაცნედ“ რუფოთის საბავშვო ბაღმა პირველმა საჯარო აქტივობა დააანონსა...

ერთ მუშტად შეკრული, წარმატებული მუშაობისათვის მოწოდებული ბაღის კოლექტივს, რომელსაც ორგანიზატორული საქმიანობით გამორჩეული და, რაც მთავარია, პატარების სიყვარულით გულანთებული ქალბატონი ნანა ღიბრაძე ხელმძღვანელობს არაერთხელ უჩვენებია, რომ შრომას ყოველთვის აქვს შედეგი, მითუმეტეს, როცა ეს პატარების აღზრდას ეხება...

ამ ბაღში არაერთი აქტივობა თუ პრეზენტაცია გამართულა, როცა პატარა გოგო-ბიჭებს და მათ აღმზრდელს ქალბატონ შორენა მეგენეიშვილს, მუსიკის მასწავლებელსა და მათ დამხმარებას თავიანთი შესაძლებლობებით ნამდვილად აღტაცებაში მოუყვანია მაყურებლები...

სამი თვეა მხოლოდ, რაც ბაღებში აღდგა სასწავლო სააღმზრდელო პროცესი, ერთგვარი მონატრება-გაუცხოების შემდეგ აღსაზრდელებმა და აღმზრდელებმა კვლავ სიყვარულით იპოვეს ერთმანეთი... და მეცადინეობები გამოსაშვები დღის სამზადისიც დაიწყო.

ორიოდე სიტყვა შორენა მეგენეიშვილზე: 25 წლის მუშაობის გამოცდილების მქონეს, რომელსაც უზომოდ უყვარს ბავშვები და თავისი საქმე, ენერგიულსა და კრეატიულს ვერანაირი დაბრკოლება ხელს ვერ შეუშლის ჩანაფიქრი რეალობად აქციოს. მის ფანტაზიას და შემოქმედებით აზროვნებას საზღვარი არ აქვს. ამიტომ პროექტებზე მისსავე ხელით დამზადებულ ისეთ რესურს ნახავთ, რომელიც ბავშვს კი არა შეიძლება მათ მშობელსაც კი არ ჰქონდეს ნანახი...

ასე მოხდა ამჯერადაც... აქტივობას „თეთრი და შავი“ ჰქვია. ისეთი ლამაზი გარემოა შექმნილი მხოლოდ ამ ორი ფერისაგან, იფიქრებ, რომ სხვა ფერები საჭიროც არ არის... ყველაფერი თეთრი და შავია—ყვავილებიდან, სათამაშოებიდან დაწყებული და გემით დამთავრებული... უამრავი ფოტომასალა, თეთრი და შავი როიალი, თეთრი და შავი ცხოველები თუ ფრინველები, მასწავლბლების და აღსაზრდელების ჩაცმა-დახურვაც ამ ფერებშია გადაწყვეტილი.

რატომ თეთრი და შავი... საინტერესო ახსნა აქვს მასწავლებელს: დღეს სამყარო ბეწვის ხიდზე გადის... ომია უკრაინაში და ადამიანები ეწირებიან მის სისასტიკეს. ეს საშინელება შავ ფერთან ასოცირდება... თეთრი კი, იმედის, ნათელი მომავლის ფერია... ამბობს შორენა და ბავშვებთან ერთად მიმოიხილავს საიდან წამოიშვება ეს ფერები, როგორ აღიქვამენ ბავშვები შავს და პირიქით...

აქტივობა საინტერესო ეპიზოდებს მოიცავდა, ლამაზი მუსიკალური ნომერი წარმოადგინა ფორტეპიანოსა და მევიოლინეთა ორკესტრის „წევრმა“ შემსრულებლებმა, სიმღერებიც და ლექსებიც აქტივობის დასათაურების მიხედვით შეურჩევიათ და პატარები დიდი მონდომებით ასრულებენ მასწავლებლებთან ერთად...

თითოეულმა შავ-თეთრ ფერებში შესრულებული თავიანთი „საშინაო დავალებაც“ წარმოადგინეს, რომელიც სახლში მშობლების დახმარებით მოამზადეს...

იყო იმიტირება, როგორ წარმოიშობა ჭექა-ქუჩილი.

შემდეგ იყო შემეცნებითი აქტივობა... პატარებმა ჩინებულად გაართვეს თავი თითოეულ დავალებას...

შემდეგ კი „გემში“ ჩასხდნენ და შავ ზღვაში გაცურეს... მაყურებლებს კი ლამაზი სიმღერით დაემშვიდობნენ... მანამდე კი შორენა მასწავლებელმა მაყურებელს წარუდგინა—გურამ ჭანკვეტაძე, ნია მემანიშვილი, რომან ოქრუაძე, ბარბარე ჭანტურიძე, მურთაზი ოქრუაძე, თიკა ჭანკვეტაძე, ანასტასია ოქრუაძე, ანა ჭანკვეტაძე, ზუკა ჭანტურიძე, ზუკა ჭანკვეტაძე, ნიკა კობახიძე, ლაზარე წიქრიძე, ავთანდილ ჭანკვეტაძე, კახაბერ ჭანკვეტაძე, ლიზი ღიბრაძე, საბა ჭანკვეტაძე—შერეული ჯგუფის ამ 16-მა აღსაზრდელმა, მაყურებელთა მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. მალე ნია, ანასტასია, ანი, ლიზი, გურამი, საბა, რომანი და ავთანდილი ბაღს დაემშვიდობება და სექტემბრიდან სწავლას სკოლაში გააგრძელებენ, სხვები კი კიდევ ერთ წელს მშობლიურ ბაღში გაატარებენ...

ბავშვებს წარმატებები უსურვეს და წარმოდგენილი აქტივობა, როგორც მოსალოდნელი იყო მაღალ დონეზე შეაფასეს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორმა და უფროსმა სპეციალისტმა მაია თორთლაძემ და დალი სოფრომაძემ, რუფოთის საჯარო სკოლის პედაგოგმა მაია დოლაკიძემ, თერჯოლის №1, №2 და №3, ასევე ღვანკითის, საზანოს ბაგა-ბაღების მეთოდისტებმა: დარეჯან ღიბრაძემ, ლალი ფანჩულიძემ, ქეთევან ჯაბიძემ, თეა ქემოკლიძემ, მაია ჭანკვეტაძემ და სხვებმა.

ყველაფერი იყო საუკეთესო, შემეცნებითი, სახალისო და განვითარების ყველა სფეროს მოიცავდა, რაც გუნდის ერთიანი ძალისხმევით მიიღწევა. ხაზი გაესვა დირექტორის, ქალბატონ ნანა ღიბრაძის, აღმზრდელის შორენა მეგენეიშვილისა და მუსიკის მასწავლებლის სოფო გეწაძის, აგრეთვე ლელა ჭანკვეტაძის, მასწავლებელის დამხმარეების ხათუნა გურგენიძის და თეა მარგველაშვილის ერთობლივად გაწეულ მუშაობას.

აქტივობას დაესწრნენ აგრეთვე ბარდუბნის №2, თუზის და სიქთარვის ბაგა-ბაღების მეთოდისტები მაია ცქიფურიშვილი, თამუნა ტეტუნაშვილი და ნარგიზა ხურცია. იყო აგრეთვე აზრთა გაზიარება სიახლეთა დანერგვის თაობაზე ახალი მოთხოვნების შესაბამისად...

შემაჯამებელ აქტივობას დაესწრო მუნიციპალი-

ტეტის მერის წარმომადგენელი რუფოთის თემში ივანე ნიკოლაძე.

ქალბატონმა ნანამ მადლობა გადაუხადა აღსაზრდელებს, მათ მშობლებს, პედაგოგებს გაწეული მუშაობისათვის, ასევე მადლობა გადაუხადა სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურ ცენტრს, ყველა სტუმარს, რუფოთის თემში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ივანე ნიკოლაძეს და დავით ვარდოსანიძეს მუდმივად თანადგომისა და გაწეული დახმარებისათვის...

გვერდის ავტორი
მზია ცქიფურიშვილი

ახალგაზრდა შემოქმედი სამშობლოსა და კორონავირუსულ პანდემიაზე...

ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა და მეგობარმა, ნიჭიერმა ახალგაზრდა შემოქმედმა გელუკა ბუიღლიშვილმა ქაღალდზე გადატანილი თავისი ახალი ნააზრევი მოგვაწოდა. დღევანდელ ნომერში გამოსაქვეყნებლად მათგან ერთი ნოველა და სამი ლექსი შევარჩიეთ. ნოველა პანდემიურ პერიოდში ადამიანების მორალურ სახეებს გვიხატავს, ლექსები კი როგორც ყოველთვის სამშობლოს უზომო სიყვარულითაა გაჟღენთილი.

როცა ძალიან გეჩქარება ...

(ნოველა)

როცა ძალიან გეჩქარება, მაშინ არ მოდის ეს ოხერი ავტობუსი. არადა როგორ მეჩქარება! ცოტა არ იყოს შემცივდა. ხელებს ვიორთქლავ და ქურთუკის საყელოს მაღლა ვიწევ.

გაგანია პამდემიაა. შემცირებულია ავტომობილებიცა და მიკროავტობუსებიც. ჯერ კიდევ არ შეზღუდულა საქალაქთაშორისო ტრანსპორტი.

გაზაფხულის ცივი დილაა. მზის სითბოს დანატრებულ ხეებს კვირტები დაუბერავთ და დროს ელოდებიან, რომ იფეთქონ და გამოხალისდნენ, გამოეფინონ და თავი მოიწონონ ულამაზესი კაბებით.

„ვამეხ, ჩამოდი ქუთაისში, ერთად ვიმეცადინოთო“, —დამიმესიჯა ალდემ.

მაგაზე ვაწყენინებ! როგორც იქნა დავთქვით შეხვედრა. უნივერსიტეტთან შევხვდებით.

ჰო, იებისა და ყოჩივარდების თაიგულს ვუყიდი, მერე გავუყვებით თამარ მეფის ქუჩას. შევიაროთ, ბატონო, საჯაროში და ვიმეცადინოთ პირბადით.

როგორც იქნა ჩამოდგა.

პირბადე ავიკარი სახეზე და მიკროავტობუსში ავედი.

სიხალვათეა შიგ. შვიდი მგზავრია სულ (ჩემიანად).

მძღოლი რაღაც უჟმური სახით იხედება. არ მოსწონს ეტყობა სიხალვათე.

ხანდახან უკმაყოფილოდ გადმოგვხედავს და გადაგვთვლის რამდენჯერმე. ყველა თავის ფიქრებსა და პირბადეში ჩაძირულა.

იმერეთის გზა სწრაფად იკეცება.

ფანჯრიდან გავცქერი ფერდობებზე მოჩითულ ფურისულებსა და ყოჩივარდებს.

მშვენიერ განწყობაზე ვარ. წარმოვიდგინე, როგორ გაუხარდება ალდეს ლამაზი ყვავილების დანახვა. თვალები აუციმციმდება, გაუბრწყინდება, იმავე წუთს ცხვირისაკენ გააქანებს.

—ვაიმე, რა ლამაზია! მე მომიტანე, ვამეხ!

—ჰო, აბა ვის? ბოდიში, ახლა ვარდების თაიგულს ვერ დავიჭერდი ხელში. ეს პატარაა და აგერ მოვათავსე ქურთუკის ჯიბეში.

ჰო, ჰო რას აფოფინდება! მომეხვევა და მაკოცებს.

მიკროავტობუსი კი მიჰქრის.

ვხედავ, ერთ-ერთი სოფლის გადასახვევთან შავკაბიანი მოხუცი ქალი დამდგარა. გვერდით კალათები უდევს. შიგ სოფლის ფხალეული აქვს ალბათ, ასე ჩანს შორიდან.

მოხუცმა ხელი მოიჩრდილა, მერე გაუბედავად დაუქნია.

ავტობუსი გაჩერდა.

მოხუცმა როგორც იქნა ჯიბეში მოძებნა პირბადე, ცალ ყურზე მოირგო, ცალზე ვეღარ მიიმაგრა. კარი გაიღო.

—გამიჩერე, შვილო, გავიყინე, ვიცდი რამდენი ხანია.

მოხუცს საოცრად სათნო სახე ჰქონდა.

მძღოლმა უკმაყოფილოდ გადახედა მის კალათებს და:

—რა არის, ქალო, ამ კალათის შემოტანა გინდა შიგ? დამისვრი ყველაფერს. მოუცადე, ჩამოივლის ვინმე!

კარები დაიხურა.

საბრალო მოხუცს პირბადე ცალ ყურზე ჩამოკიდებული დარჩა, ხელები უმწეოდ გაასავსავა:

—არ დამტოვო, დია!—დაუძახა, მაგრამ ვის ესმოდა...

მძღოლმა რაღაც ჩაიბურტყუნა და გაქანდა. გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარით.

მგზავრები ხმას არ იღებენ. ვატყობ, ეწყინათ. კოპები შეიკრეს.

—ე, ე, ე!

წამოვდექი. ვიწრო გასასვლელი გავიარე და მძღოლთან მივედი.

—რატომ არ წამოიყვანე? ამ სიცივეში რა ქნას? დედა არა გყავს? არ შეგეცოდა?

ავუწიე თანდათან ხმას.

—შენ ვინ გკითხავს? უყურე ამ უზრდელს!

—აბა, გააჩერე ახლავე მანქანა! სუფრაზე დიდი რიხით დალევ დედის საღღეგრძელოს, შე უბედურო!

მძღოლი სიბრაზისაგან გათეთრდა. მანქანა შეაჩერა, ჩემკენ გადმოიხარა, ხელი შემართა, მაგრამ მკლავზე ჩემი თითები მარწუხივით მოეჭდო, სუთქვაშეკრული ისევ სკამზე დაეშვა.

—კარი გააღე ახლავე!—ბრაზით შევუძახე.

უკიდეგანო ზიზღი აღბეჭდვოდა მოქუფრულ სახეზე.

მიკროავტობუსის კარი გააღო.

ხურდა ამოვიღე და წინ დავუყარე.

ჩავედი.

—მოიცა, შვილო, ჩვენც მოვდივართ!—მომესმა უკნიდან ხმა.

მოვტრიალდი.

ექვსივე მგზავრი თავისი ბარგით უკან მომყვება.

და სახეები! პირბადის მიღმა მაინც იკვეთებოდა მათი სიბრაზე.

ჩამოსვლისას ყველანი ხურდებს წინ უყრიდნენ მძღოლს.

და ჩემს თვალებში გაკრთა იუდა, ვერცხლის ფული ბლომად უყრია წინ, მაგრამ აღარ უნდა!

დაცარიელდა ავტობუსი.

მძღოლი გაბუსული და გალურჯებული მოგვჩერებოდა, ბოლოს ჩაიბურტყუნა და დაიძრა.

—ჯანდაბამდის გივლიაო!—არ დააყოვნა მსუქანმა დეიდამ ჩემ უკან.

—ყოჩაღ, შვილო, კარგი მშობლები გყოლიაო,—დამლოცეს მგზავრებმა.

—ბოდიში, დეიდებო და ბიძიებო, ჩემ გამო შეფერხდით—მოვუბოდიშე.

—არა, შვილო, რას ამბობ, ასეთი გიჟლარა მეტის ღირსია.

—ქუთაისამდე ბევრი აღარ დარჩა, დეიდა, მე ფეხით გავუყვები გზას,—მივუბრუნდი სანდომიან ქალბატონს.

—წაი, დია, ღმერთმა დალოცვილი გატაროს, ჩვენ გავჩერდებით პატარა ხანს თუ ვინმე მადლიანმა გამეიარა, თვარა ქე გამოგყვებით უკან.

ღმერთო, რამდენი სითბო და სიყვარული ედგა თვალებში! პირბადე ფარავდა მის ღიმილს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მისგან გადმოღვრილი სითბო შეცივებულ ჰაერს ათბობდა.

ალბათ, ეს სითბოა, რომელიც გვაძლებინებს და გვატანინებს ერთმანეთს.

ესეც „ქვაშავა“!

ალდე?

ჰო, ცოტა შემაგვიანდება, მაგრამ დამელოდება აბა რა!

გრძნობის ხმა მესმის

მე ჩემს გრძნობას ლექსით გამოვხატავ,
თუნდაც ვიყო მე უგონოდ მთვრალი,
ლამაზ კოცნას ლექსში ჩავახატავ,
ტანწერწეტა ვნებიანი ქალის.
უნატიფეს გრძნობას ლექსით გამოვძერწავ,
თუნდ ტუჩებში უკბენია მაჭარს,
გენაცვალე აფხაზეთის მხარევ,
გენაცვალე გურიავ და რაჭავ!
მე სამშობლოს ყველა კუთხე მიყვარს,
ყველა მხარის თითო გოჯი მიწა,
ვენაცვალე ადიდებულ ენგურს,
შენც ლამაზო ბიჭვინთავ და რიწავ!
მე სამშობლოს ბაღ-ვენახებს ვუმღერ,
გაზაფხულის სურნელება მათრობს,
თეთრ თოვლიან მწვერვალებსაც გავცქერ,
მათი ხილვა გულს ატკბობს და ათბობს.
მე ჩემს გრძნობას ლექსით გამოვხატავ,
თუნდაც ვიყო მე უგონოდ მთვრალი,
მე სამშობლოს სიყვარული მათრობს
მით მედება გულზე მიჯნურს ალი.

ბატონ სოსო სიგუას

(მწერალსა და კრიტიკოსს)

მე მასულდგმულებს სამშობლო ჩემი,
ქართული მიწის სითბო ცხოველი,
შემყვარებია წარსული მისი,
რუხი ტაძარი—სვეტიცხოველი.
ჩემი სამშობლოს უღრუბლო ზეცა,
არის ამშლელი სტრიქონთა თემის,
შემყვარებია სიძველე მისი,
წალკოტი ბაღი—სამშობლო ჩემი.
მე მასულდგმულებს სამშობლოს მთები,
ქართველი კაცის სიტყვა და რწმენა
მისი მარანი და ქვევრი მისი
დღევანდელობა და ჭირთათმენა.

არ დაუკრათ!

არ დაუკრათ, სირცხვილია, არ დაუკრათ!
სამაგისო დღე ჯერ ჩვენ არ დაგვდგომია,
გაიხედეთ, მტერი როგორ აშლილა და
მოსასპობად თავზე როგორ დაგვდგომია.
არ დაუკრათ, აბა ტაში ვის რას არგებს?
რა დროს ლხინი, მოლხენა და ხალისია?
თქვენ არ იცით, თუ რა მოაქვს მოკლე აზრებს,
ბრძნული აზრი რა ღირს, რისი მაქნისია!
რად ამღერებ უმუშევარს, უხელფასოს,
შიმშილითა სული გძვრება, დადუნდები,
სამათხოვროდ მიაკითხავ სინიორებს,
ცარიელი იდეებით დაბრუნდები.
დაუკარით, მხოლოდ მაშინ დაუკარით,
მაღლა ცაში ფრთებს რომ შლიან არწივები,
როცა ფესვებს არ მოაგლეჯ დედაენას
და სატანას სამუდამოდ გასცილდები.

„ბოლო ზარის“ ზეიმი და ფიქრები მომავალზე...

6 ☜

ბოლო ზარის ზეიმი გახსნა და XII კლასელებს სკოლის დამთავრება მიულოცა სკოლის დირექტორმა ია კვატაიამ და თითოეულს წარჩინების დიპლომი გადასცა. რვა წლის მანძილზე უცვლელი კლასის ხელმძღვანელის მედეა მიქავას მილოცვას 20 მაისს დაწერილი ლექსი მოჰყვა.

დრო არ ჩერდება, წლები გარბიან,
დინამიკას სდევს ფიქრების „სკივრი“,
დღეს თქვენი დღეა, თქვენ იდიადებთ
და მერმისის გზას გაჩნდება სხივი...
გიგი, დავითი, მარი და საბა,
ლუკა, დავითი, ნინი და რეზი,
ჩვენი სკოლის და ერის ხიბლი ხართ,
თქვენ უნდა შექმნათ „მომავლის ხიდი“...
ხიდი, რომელზეც გაივლის ერი,
რჩეული მასა, ნაკრები მშვიდი
და დალოცვილი გახდება სივრცე,
სადაც თქვენ გადეთ ღირსების ხიდი!
დრო გააგრძელებს კვლავ მდინარებას,
სამყაროს შეცვლის დინების ტალღა,
ისე მიყვარხართ, რომ ამ სიყვარულს,
ვერ შეეხება ვერც ერთი ტალღა...

მერე პირველი მასწავლებელი მოიხმეს—ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგი, სწორედ ლია ვაშალომიძემ გადაუშალა მათ დედა-ენა, ასწავლათ ანბანი, გაუხსნათ გონების კარი, თითის გაყოლებით, დამარცვლით წააკითხათ პირველი წინადადებები.

ზეიმის მეორე ნაწილი ტრადიციულად XI კლასელებმა, მომდევნო დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა გამართეს, ბევრი თბილი სიტყვა ითქვა, იყო სურვილები და სიყვარულის გამჟღავნება, წარწერები თეთრ პერანგებზე... უამრავი ფოტო გადაიღეს.

* * *

და უკვე შესრულდა ვალი იმ ადამიანებისა, რომელთაც ამ კლასის აღზრდა ჰქონდათ მინდობილი, შესრულდა იგი მთელი სიყვარულით და სინდისიერებით, მაგრამ მათი აღზრდა ჯერ არ დამთავრებულა, რადგან ადამიანი სწავლობს და იზრდება სიცოცხლის მანძილზე.

...გიგი, საბა, მარი, დავითი, ნინი, რეზი, ლუკა, დავითი ცხოვრებისაგან აწიც აითვისებენ ახალ გაკვეთილებს, მაგრამ არ დაივიწყებენ სკოლას, საიდანაც მოდის სათავე, დასაწყისი მათი დიდი ადამიანობისა.

ქალბატონმა იამ მანიშნა მივსალმებოდი და მიმელოცა ბავშვებისათვის, როგორც სოფლის მკვიდრის და თითოეულისა და მათი ოჯახისათვის ნაცნობ ადამიანს. ახლა ასე მივმართავ ჩემს მეზობლებს და თანასოფლელებს, წლევანდელი წლის კურსდამთავრებულებს: ბედნიერები ხართ ხომ! დარწმუნებული ვარ ძველ სკოლაშიც ბედნიერები იყავით, მალე მოგენატრებათ სკოლის ძველი და ახალი კედლები. მადლობა ღმერთს მოვესწარით ახალ სკოლას, კი არ მოვესწარით თვალს ვადევნებდით მშენებლობას, მის ყოველდღიურ ცხოვრებას. 1953 წელი იდგა. მეც შევაღე სკოლის პირველი კლასის კარები. დღემდე მახსოვს ჩემი პირველი და შემდეგი მასწავლებლები... თითოეული ადამიანი თავის ინტერესს იცავს, თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს, ეს ბუნებრივია, მაგრამ, ეს ძალიან ნუ გაიდგამს ფესვებს, იფიქრეთ სხვებზე, იფიქრეთ და იზრუნეთ ერთმანეთზე, ერთიან, ძლიერ საქართველოზე, უცხო ქვეყანაში წასულ ჩვენ გოგო-ბიჭებზე, ჯერ სწავლა, მერე შრომა გაიხადეთ მოთხოვნად. „ვინც არ მუშაობს არ ჭამს“—ეს ირონიულ ფრაზად იქცა, მაგრამ მარტო ამ საუკუნის რომ არ არის, „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმეს, ნუცა ჭამანო“—ამბობს პავლე მოციქული. თქვენ ალბათ წაკითხული გაქვთ საბავშვო, საყმაწვილო და სხვა სახის ღირებული ლიტერატურა, ბევრი იკითხეთ, იარეთ ბიბლიოთეკებში, იგი არ არის მარტო წიგნსაცავი, იგი კაცობრიობის გონების სინთეზია, შეიძინეთ წიგნები და წაუკითხავად არ დადოთ თაროზე. ინტერნეტი და კომპიუტერი დიახაც არის უდიდესი მონაპოვარი, მაგრამ წიგნს ვერაფერი ცვლის, წიგნი მაინც წიგნია, მათი კითხვისას ალიონის სიგრილე უნდა შეიგრძნო. ეს ქვეყანა თქვენია, დიდი წარსულის მქონე ქვეყანა, იგი თქვენ უნდა ჩაიბაროთ, თქვენ უნდა მოუაროთ, ამ გზაზე წიგნიერება, განათლებაა, ეროვნული სულისკვეთება, სამშობლოს სიყვარული, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულების პატივისცემა გაგიყვანთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

ქეთევან გოგიაშვილს და მიშა ჩუბინიძეს

გილოცავთ შეუღლებას — თქვენს ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რასაც სიყვარულისა და ბედნიერების დღე ჰქვია...

შვილთა მრავლობას გისურვებთ, აგრერიგ რომ სჭირდება ჩვენს დედასამშობლოს!

გვჯერა რომ თქვენ ზნეკეთილ ოჯახს ჩაუყრით საფუძველს!

წარმატებები და სიხარული არ მოგკლებოდეთ!

გაზეთი „თერჯოლა“

თერჯოლური ჩაი-მუზეუმის საუკეთესო ექსპონატი

თბილისში, კერძოდ სოლოლაკში, ჩაის მუზეუმი გაიხსნა. ეს ფაქტი თავისთავად მისასალმებელია და საინტერესო, რადგან ასახავს ამ ძვირფასი კულტურის მთელს ისტორიას, საქართველოში შემოტანა-გაშენებიდან დღემდე. თერჯოლელებისათვის კი განსაკუთრებით, რადგან მუზეუმის ექსპონანტებს შორის, თავისი გამორჩეული ადგილი უკავია ჩვენებურ ბიოჩაის, გამოშვებულს შპს „ანდიტრის“ მიერ. დამფუძნებლები, ეწრელი ძმები ელგუჯა და გრიგოლ ბიწაძეები.

შედგენილია სპეციალური ბუკლეტი, სადაც მოცემული წერილობითი და ფიტომასალები ასახავს იმ მართლაცდა საამაყო მიღწევებს, რომლის საწარმოს პროდუქციამ დაიმსახურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, გურიაში. „ჩაის გზის“ ეგიდით მოწყობილ კონკურსში „გრანპრის“ აღება, ხოლო ჩინეთში, სადაც ეს კულტურა რელიგიის დონეზეა აყვანილი, ჩაის საერთაშორისო ფესტივალზე—პირველი ადგილი ნომინაციაში „საუკეთესო არომატი“. ეს ამბავი ტელევიზიითაც გაშუქდა. ვინც 20 მაისს, ტელეკომპანია რუსთავი-2-ზე ნახა გადაცემა რუბრიკით „სხვა შუადღე“, სადაც ფართოდ იქნა გაშუქებული თბილისში, ჩაის მუზეუმის გახსნის იდეა, მიზნები და ამოცანები, გულგრილი ვერ დარჩებოდა ეკრანზე ნახულისა და გაგონილისადმი: მუზეუმის შემქმნელსა და ხელმძღვანელს ბატონ შოთა ბიწაძეს ხელში სწორედ ზემოთაღნიშნული ბუკეტი ეჭირა და აცნობდა ტელემაყურებელს თერჯოლური ჩაის აღიარებასა და მიღწევებს.

ვინაიდან ჩვენს გაზეთში თავის დროზე ვრცლად იქნა გაშუქებული, ენთუზიასტი ძმების როგორც ჩინური ვოიაჟი, ისე მთელი მათი საქმიანობა, ამჯერად მხოლოდ ზოგიერთ სიახლეებს გაგაცნობთ, რაც თავად ბატონ ელგუჯამ გაგვაცნო.

მათ შორის: მინიფაბრიკის აღჭურვილობა გარკვეულწილად შეავსეს და პროცესები ნედლეულის გადამუშავებისა უფრო სრულყოფილი გახდა. ჩაის დუყები იკრიფება უკვე ოთხამდე სოფელში, მათ შორის თავად ეწერში, ზედა სიმონეთში, ბარდუბანში, ძევრში. შპს „ანდიტრი“ აქამდე პროდუქციას თბილისში ჩაის სახლ „ანა“-ს, უცხოეთში კი ჩაის ჩვენ გურმანებს აწვდიდა, ამჟამად თბილისის ჩაის მუზეუმის სახით, ახალი შემკვეთი გაუჩნდა, საიდანაც მიიღეს თხოვნა, რაც შეიძლება დიდი პარტია გაუგზავნონ (სამწუხაროდ, პროდუქციის მოცულობა შეზღუდულია, შესაბამისად ნედლეულის, რომლის მოპოვება სპეციალურ პირობებში ხდება).

აღსანიშნავია ერთი სიახლეც: შპს-ს ბაზაზე საწარმოო პრაქტიკას გადიან ქუთაისის პროფესიული სასწავლებლის—კოლეჯ „იბერიის“ მოსწავლეები. სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე, გასულ სამეურნეო და სასწავლო წელს აქ უკვე გაატარეს პირველი ნაკადი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ნედლეულის კრეფის, ისე ჩაის გადამუშავების პროცესში.

ძმებ ბიწაძეებს შორს მიმავალი გეგმები აქვთ, რაც მთავარია სჯერათ, რომ საქართველოში და შესაბამისად ჩვენს რაიონში ჩაის კულტურა კვლავ განვითარდება, მით უფრო, რომ მოქმედებაშია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა.

„ჩაის დიდი გზა“ თერჯოლაში აუცილებლად გაივლის.

ი. მარუაშვილი

კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე

სოფლის ქომაგი

სკანდე ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია მუნიციპალიტეტში. საოცარი ბუნება, ლანდშაფტი, წყალი და ჰაერი მეტად მიმზიდველს ხდის მას საცხოვრებლად. ისტორიული საკნდას ციხე ამ სოფლის სიამაყეა და შემთხვევითი არაა, რომ მას 26 მაისის თავისუფლების დღესასწაულის უკვე ტრადიციადაა ქცეული ზეიმის აღნიშნვა რაიონში, ციხე-ციტადელის ქონგურებზე ეროვნული დროშის აღმართვით ხდება.

როგორც ჩანს ყოველივე აღნიშნული პირდაპირ უწყობს ხელს, მშობლიურ სამკვიდროში მაცხოვრებელთა დამაგრებას, მათ შორის ახალგაზრდებისას უცხოეთში, პერგანტული მიგრაციის პერიოდში, სკანდედან არათუ მიდიან სხვაგან სამუშაოდ, პირიქით—არაერთი წასული უკან დაბრუნდა, სოფელში სახლი ააგო, ეზო-რიადაგეც მოაწესრიგა და ოჯახიც შექმნა. ისე მუყაითად შრომობენ სკანდელები მეტი რომ არ შეიძლება. ყველას როგორ ჩამოთვლი. ერთ-ერთ მათგანზე, მალხაზ ნემსაძეზე მოგახსენებთ ამჟამად.

რა ენერგია აქვს ამ სიფრიფანა, შუა ასაკს მიღწეულ კაცს ვერ გეტყვით, მაგრამ იმდენ საქმეს ანელებს ბარე ორ მაგარჯანიანს გაუჭირდება.

„მზეს საქმესთან უნდა დახვდე! საქმემდე თუ მზემ მიგასწრო, ვერაფერს გააკეთებ და ე.ი. დრო დაკარგეო...“ ამბობდა შესანიშნავი მწერალი და ასევე შესანიშნავი მეურნე ოტია იოსელიანი. მალხაზი კი საქმესთან მზეს ასწრებს კი არა საერთოდ არ ძინავს მგონი. აგერ რომ ყანას თოხნის, მეორე წუთში ვაზს წამლის. შუადგეს ფურებს გადააბ-გადმოაბამს, საბალახოს შეუცვლის, წყალს დაალევინებს, იქეთ ღორებია მისახედი... მერედა ხასიათია ცარიელი, ისეთ ადგილას ცხოვრობს გზის პირას გვერდს ვერ აუვლი დაგინახავს და ხელიდან ვერ დაეფჩხვნები. ამას წინათ ტყიდან მომავალი ვნახეთ, კალათა სოკოებით ჰქონდა პირთამდე გავსებული. ქამა სოკო და ცხვარიო იყო ისეთი მიპატიჟებაზე უარს როგორ ვეტყოდით. სოკოს ვინ დაგაჯერა, მეუღლეს „შეკვეთები“ მისცა და სულ რაღაც 10-15 წუთში ისეთი სუფრა გაშალა თქვენგან მოწონებული. ხასიათზე რომ ხარ საუბრის საღერღელი აგეშლება კაცს. მივყევით-მოვყევით რუსეთ-უკრაინის ომის „საკითხი, რომ განვიხილეთ (ეს თემა ყველგან ყველაზე აქტუალურია ახლა) საშინაო ამბებს მივუახლოვდით. სოფლის ბედი ყველას გვაღელვებს, გვინდა არ გვინდა რუსეთში მაცხოვრებელნი მიწას ვართ მიჯაჭვული. თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო უთქვამს სულმნათ რუსთაველს. თუ კაცი ფეხზე დგახარ, ჯანი გაქვს და სოფელში ცხოვრობ რამე როგორ არ უნდა მოიყვანო. ასეთი ზღაპრული მიწა-წყლის პატრონი და ასეთი ნოყიერი მიწების მესაკუთრე სხვაგან, გადასაკარგავში როგორ უნდა წახვიდე სამუშაოდ—წუხს მალხაზი. მეო, მეუბნება სხვაგან ერთი კვირაც ვერ გავჩერდები. ამ ჩემს რიადაგეს თუ დღეში რამოდენიმეჯერ არ ჩამოუარე, ამ ამწვანებულ მთაგორებს თვალი არ „შევავლე“ ისე რა გამაძლებინებს. მეცოდება კაცი, ვისაც თავის ნაშრომით სიამოვნება არ მიუღია. რა სჯობს და რა შეედრება შენი მარჯვენით მოყვანილი ყურძენს რომ ჭურში ჩაწურავ, სიმინდით რომ ნალიას გაავსებ, ხალამში ხელს რომ ჩაყოფ და დასვრეტილ გოგორასავით ყველს ამოიღებ... რა მეურნე ხარ შობას თუ ღორი არ გააგორე და ნაკვერჩხლებზე მწვადები არ ააშიხინე... ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული—რომ ამბობდა პოეტი, სოფლის და მიწის სიყვარული ათქმევინებდა ამას, თორემ ქალაქში ასფალტზე გინ ფეხშიშველა გაიარე, გინდ ფეხსაცმლინმა რა აზრი აქვს.

იყო პერიოდი სოფელში ცხოვრება ძალინა ჭირდა. ეს მაშინ, როცა დენი იყო გრაფიკით, გაზი საერთოდ არ იყო და ზამთრისათვის შეშის დამხადება გვიშრობდა სისხლს, გზა არ იყო ხეირიანი...

ახლა ყველა ეს პრობლემა მოგვარებულია და ქალაქს შეშურდება ისეთ ყოფაში ვართ. გაზის მოსვლამ შეშის პრობლემა გადაგვიწყვიტა, დიასახლისებს ხომ უშველა და უშველა. ადრე მჭადის გამოცხობა რომ უჭირდათ ახლა ნამცხვრის კეთებაზე გადავიდნენ.

სოფლად, მთლიანად საზანოს თემი მაქვს მხედველობაში, ბევრი რამ გაკეთდა, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტერბით., ისე სოფლის დახმარების პროგრამით. აგერ, ჩემი სახლის წინ, ხედავთ რა კარგი მგზავრთა მოსაცდელი მოეწყო. ზამთარ-ზაფხულ აქ მგზავრები, თოვლსა თუ წვიმაში ღია ცის ქვეშ იყვნენ. ვიწვებოდი მათი ცოდვით, მომავლისათვის სხვა საქმეებიც გვაქვს მონიშნული და გავაკეთებთ აუცილებლადო—მეუბნებს თავდაჯერებულად.

***

მეუღლე ირმა ბოჭორიშვილი უკეთილშობილესი ქალბატონი, მხარში უდგას მალხაზს და ერთად, სიამ-ტკბილობით ეწევიან ცხოვრების ჭაპანს. უკვე ხუთსულიანია მათი ოჯახი. 2 ქალიშვილის შემდეგ ნანატრი ვაჟი შეეძინათ, გიორგი დაარქვეს, პატრიარქის მოსანათლავიაო მითხრეს სიამაყით.

ღმერთმა სიხარული და სიამ-ტკბილობა არ მოაკლოთ, უმრავლოს ღმერთმა სოფელს ასეთი ერთგული, მკვიდრი ქომაგები.

ი. ერაძე

„შენ გიგალობ, შენთვის ვმღერი...“

პირველ ივნისს მთელმა მსოფლიომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე იზეიმა, ასე იყო საქართველოშიც.

თითოეული ბავშვი თვით სამყაროზე დიდია... თითოეული იმსახურებს იყოს ბედნიერი და ლაღი. ეს საზეიმო დღე კი კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას, რომ პატარები რაც შეიძლება მეტ სიყვარულში, სიხარულსა და მშვიდ გარემოში იზრდებოდნენ... რომ ხშირად უნდა მოვეფეროთ, ჩავეხუტოთ და სული გავუფერადოთ...

ზაფხულის პირველ დღეს საქართველოში ორი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულის თანხვედრა შემთხვევითი არ არის. ქართველთა განმანათლებელს, მოციქულთა სწორს წმინდა ნინოს და მომავლის იმედს, ოჯახის, ქვეყნის სიმდიდრესა და ბედნიერებას, ბავშვებს, ოდითგან ეთაყვანებიან და გამორჩეული სიყვარულით უყვართ...

სწორედ ამ სიყვარულის გაცხადება იყო მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ანუ საბავშვო ბაგა-ბაღებსა და საჯარო სკოლებში 1 ივნისის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ყველგან, ადგილებზე, ბავშვებს ყველა პირობა ჰქონდათ ლამაზად მორთულ გაფერადებულ, სიყვარულით გამთბარ გარემოში თავი მხიარულად დ ბედნიერად ეგრძნოთ... ბავშვთა დაცვის დღეს ღონისძიება ჩატარდა აგრეთვე საჯარო ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილებაში, სადაც ნორჩ მკითხველთა ერთ ჯგუფს უმასპინძლეს...

„შენ გიგალობ, შენთვის ვმღერი...“

ასე ერქვა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით გაიმართა დავით კლდიაშვილის სახელობის სკვერში.

ვიდრე დაანონსებული ღონისძიება დაიწყებოდა შეკრებილ მაყურებელსა და კონცერტში მონაწილე კოლექტივებს საშუალება ჰქონდათ იქვე მოწყობილი თერჯოლის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის და მოსწავლეთა ცენტრის კლუბების მიერ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი და დღის ცენტრის აღსაზრდელების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა დაეთვალიერებინათ.

ასევე ნორჩ მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ხატვასა და ინტელექტუალურ თამაშში და გამარჯვებულის პრიზიც მოეპოვებინათ...

***

2 საათზე ყველაფერი მზადყოფნაშია. სცენაზე უკვე თავიანთი ადგილები დაიკავეს წამყვანებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელებმა ნატალი ბუსკივაძემ და ირმა ბრეგაძემ.

ცენტრის დირექტორი ნინო ოქრუაძე ესალმება ღონისძიების მონაწილეებს, დღესასწაულს ულოცავს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უღრუბლო ზეცას უსურვებს ბავშვებსა და სრულიად საქართველოს: „ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! მინდა ბედნიერები, ლაღები და ღიმილიანები იყოთ, ჩვენი მიზანი და პასუხისმგებლობა ეს არის ვიზრუნოთ თქვენი უკეთესი მომავლისათვის. მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ვუსურვებ ჩვენს პატარებს და მათ ოჯახებს“.

წამყვანები კითხულობენ ანა კალანდაძის ლექსს: „მოდიოდა ნინო მთებით“, შემდეგ კი სცენას თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის აღსაზრდელები იკავებენ და სიმღერით „თოჯინების ზღაპარი“ დღესასწაულს ულოცავენ შეკრებილ საზოგადოებას და თანატოლებს...

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებიან სიქთარვის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები პედაგოგებთან ერთად ულამაზესი ცეკვით, თერჯოლის №2 და №1 ბაგა-ბაღების აღსაზრდელები ულამაზესი ნომრებით, ფორმებით, როცა მათ უყურებ არ შეიძლება არ დაიჯერო „ბავშვების სამყაროში მხოლოდ სიხარულია, ზღაპრული ფერები და ლამაზი ოცნებებია“... ჭეშმარიტად ასეთები იყვნენ ღონისძიების მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით გაიმართა დავით კლდიაშვილის სახელობის სკვერში.

ვიდრე დაანონსებული ღონისძიება დაიწყებოდა შეკრებილ მაყურებელსა და კონცერტში მონაწილე კოლექტივებს საშუალება ჰქონდათ იქვე მოწყობილი თერჯოლის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის და მოსწავლეთა ცენტრის კლუბების მიერ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი და დღის ცენტრის აღსაზრდელების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა დაეთვალიერებინათ.

ასევე ნორჩ მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ხატვასა და ინტელექტუალურ თამაშში და გამარჯვებულის პრიზიც მოეპოვებინათ...

***

2 საათზე ყველაფერი მზადყოფნაშია. სცენაზე უკვე თავიანთი ადგილები დაიკავეს წამყვანებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელებმა ნატალი ბუსკივაძემ და ირმა ბრეგაძემ.

ცენტრის დირექტორი ნინო ოქრუაძე ესალმება ღონისძიების მონაწილეებს, დღესასწაულს ულოცავს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უღრუბლო ზეცას უსურვებს ბავშვებსა და სრულიად საქართველოს: „ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! მინდა ბედნიერები, ლაღები და ღიმილიანები იყოთ, ჩვენი მიზანი და პასუხისმგებლობა ეს არის ვიზრუნოთ თქვენი უკეთესი მომავლისათვის. მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ვუსურვებ ჩვენს პატარებს და მათ ოჯახებს“.

წამყვანები კითხულობენ ანა კალანდაძის ლექსს: „მოდიოდა ნინო მთებით“, შემდეგ კი სცენას თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის აღსაზრდელები იკავებენ და სიმღერით „თოჯინების ზღაპარი“ დღესასწაულს ულოცავენ შეკრებილ საზოგადოებას და თანატოლებს...

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებიან სიქთარვის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები პედაგოგებთან ერთად ულამაზესი



ბის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით გაიმართა დავით კლდიაშვილის სახელობის სკვერში.

ვიდრე დაანონსებული ღონისძიება დაიწყებოდა შეკრებილ მაყურებელსა და კონცერტში მონაწილე კოლექტივებს საშუალება ჰქონდათ იქვე მოწყობილი თერჯოლის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის და მოსწავლეთა ცენტრის კლუბების მიერ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი და დღის ცენტრის აღსაზრდელების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა დაეთვალიერებინათ.

ასევე ნორჩ მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ხატვასა და ინტელექტუალურ თამაშში და გამარჯვებულის პრიზიც მოეპოვებინათ...

***

2 საათზე ყველაფერი მზადყოფნაშია. სცენაზე უკვე თავიანთი ადგილები დაიკავეს წამყვანებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელებმა ნატალი ბუსკივაძემ და ირმა ბრეგაძემ.

ცენტრის დირექტორი ნინო ოქრუაძე ესალმება ღონისძიების მონაწილეებს, დღესასწაულს ულოცავს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უღრუბლო ზეცას უსურვებს ბავშვებსა და სრულიად საქართველოს: „ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს! მინდა ბედნიერები, ლაღები და ღიმილიანები იყოთ, ჩვენი მიზანი და პასუხისმგებლობა ეს არის ვიზრუნოთ თქვენი უკეთესი მომავლისათვის. მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ვუსურვებ ჩვენს პატარებს და მათ ოჯახებს“.

წამყვანები კითხულობენ ანა კალანდაძის ლექსს: „მოდიოდა ნინო მთებით“, შემდეგ კი სცენას თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის აღსაზრდელები იკავებენ და სიმღერით „თოჯინების ზღაპარი“ დღესასწაულს ულოცავენ შეკრებილ საზოგადოებას და თანატოლებს...

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებიან სიქთარვის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები პედაგოგებთან ერთად ულამაზესი

ბის ყველაზე ნორჩი მონაწილენი.

ღონისძიება გრძელდება...

ამჯერად სცენაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის წევრები, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მოცეკვავეები არ არიან დიდი მონდომებით და სიყვარულით, სპეციალურად ამ დღისათვის ასრულებენ უკრაინულ ცეკვას, ამით ისინი მსოფლიოს მოზეიმეთა ბავშვებს უკრაინელ ბავშვთა ხმასაც უერთებენ, რომლებიც ომის გამო მოკლებულნი არიან ზეიმს და ბედნიერ დღეებს...

„მშვიდობა უკრაინას, მშვიდობა მსოფლიოს“ ამის დიდი სურვილი აქვს ზეიმის თითოეულ მონაწილეს.

ღონისძიებას დღის ცენტრის აღსაზრდელები უერთდებიან ულამაზესი სიმღერით „საქართველოს იავნანა“.

შემდეგ კი მაყურებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის „ხალხურ საკრავთა ანსამბლ „იმედის“ მიერ მაღალ დონეზე შესრულებული რამდენიმე სიმღერა და ენახათ ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიკონის“ მიერ წარმოდგენილი ცეკვები: „აჭარული“, „სვანური“, „ყაზბეგური“, „ქალთა ხევსურული“. ულამაზესი ნომრები, ბრწყინვალე შესრულება... მრავალი აპლოდისმენტი მათ...

ეს ყველაფერი არ იყო. ღონისძიებას კიდევ ერთი დატვირთვა ჰქონდა.

დღეს შენი დღეა...

„დღეს შენი მშობლიური მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი ხელს გაგიშვებს და დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაგილოცავს.

გფარავდეს უფალი... მუდამ გრძნობდე ღმერთის თანადგომას...

იცოდე არ არსებობს დიდი და პატარა საქმე, არსებობენ დიდი და პატარა ადამიანები...

ყველა საქმე შენი მამულიშვილობის საზომით აზომე და აწონე, გამართულად აზიდე შენი საჯილდაო ქვა და ცხოვრება არ გაიიოლო.

იფიქრე... იცხოვრე... და იყავი მართალი.

გეფერება შენი ბავშვობის კერა, როცა ამ კარებს შემოაღებ ყოველთვის დაბრუნდები შინ.

შენი მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი“.

ასე დამოძღვრა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრმა კურსდამთავრებულები, რომლებიც წლების განმავლობაში

საზრდოობდნენ იქ მიღებული ცოდნით, სიყვარულითა და თანადგომით.

მარიამ ბუსკივაძეს, ბარბარე ხაჭაპურიძეს, ელენე წულუკიძეს, ეკა ნიკოლაძეს, ნინო რობაქიძეს, თამუნა ანაკიძეს, ლედი გურგენიძეს, ბარბარე მაჭარაშვილს, საბა მემანიშვილს, ზურა ჩიტიძეს, ირაკლი ერმოლენკოს, ჯარჯი ჯამალაშვილს და ნია სახელაშვილს გზა დაულოცა, წარმატებები უსურვა და სიგელები გადასცა ცენტრის დირექტორმა ნინო ოქრუაძემ.

ნინო ოქრუაძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ყველა მონაწილეს, მაყურებელს, ცენტრის აღმზრდელ პედაგოგებსა და თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ღონისძიების მომზადებასა და წარმოდგენაში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებულ ღონისძიებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მერის მოადგილეები: მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი, ასევე ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ელისო მურადაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებმაც ბავშვებს დღესასწაული მიულოცეს, ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს და მომავალში თანადგომას დაპირდნენ.

მზია ცქიფურიშვილი

ჭადრაკი

ქუთაისში გამართულ იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელებმა.

რვა წელს გადაცილებულ უთანრიგო გოგონათა შორის გამარჯვება იზეიმა თერჯოლის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი ელისო მურადაშვილი) მოსწავლემ მარიამ ზაქარაშვილმა. მან შვიდი შესაძლებლობიდან ექვსი ქულა დააგროვა.

წარმატებული გამოსვლა ჰქონდათ ასევე დებს ნინი და ნატალია წივწივაძეებს. მესამე თანრიგოსან გოგონათა შორის მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ნატალია წივწივაძემ.

აბსოლუტური ასაკის გოგონათა შორის 7-დან 4,5 ქულა დააგროვეს ნინი წივწივაძემ და ქუთაისელმა მოსწავლემ. კოეფიციენტით პირველი ადგილიც ამ უკანასკნელს მიეკუთვნა.

გამარჯვებულ და პრიზიორ მონაწილეებს შესაბამისი ხარისხის ჯილდოები გადაეცათ.

დამწყებმა მოჭადრაკეებმა სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

მომავალს საიმედო პირი უჩანს. ეს გვახარებს.

ფოტოზე: იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი **ზაზა ლომინაძე** მწვრთნელ **გია ჭუმბურიძესთან** და გამარჯვებულ მოსწავლეებთან ერთად.

მასალა გაზეთისათვის მწვრთნელმა გია ჭუმბურიძემ მოგვაწოდა. მას სჯერა, რომ თერჯოლის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელები მომავალშიც არაერთხელ გაგვახარებენ უფრო მასშტაბური გამარჯვებებით.

ასე რომ, მომავალს იმედის თვალით დაველოდოთ.

* * *

ქ. ქუთაისშივე მაია ჩიბურდანიძის საჭადრაკო სკოლაში იმერეთის ღია საკვალიკაციო ტურნირში თერჯოლის ა(ა)იპ სპორტსკოლის მოსწავლემ ნიკოლოზ აბულაძემ 7 თამაშიდან ოთხი ქულა დააგროვა და V თანრიგი დაიმსახურა. მანვე ახალ წარმატებას მიაღწია იმერეთის ჩემპიონატზე. 8-წლამდე ჭაბუკთა შორის 9 პარტიიდან 6 ქულა დააგროვა და 25 მონაწილეს შორის მე-5 ადგილი დაიკავა. მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი მერი ჩაფიჩაძე მიიჩნევს, რომ ნიკოლოზი იმედის მომცემი ბიჭია და მალე ახალ გამარჯვებებსაც მოიპოვებს.

ნ. იშხნელი

სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები, სამეურვეო საბჭო და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან რომ გარდაიცვალა სოფელ ზედა სიმონეთის ამბულატორიის ექთანი

ლელა გიორგაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

თერჯოლის №3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მადონა და რამინი ქასრაშვილებს მაზლისა და ძმის

მურმანი ქასრაშვილის

გარდაცვალების გამო.

მედიკოსები და დიეტოლოგ-მზარეულები მოგვიწოდებენ

დილით, სახლიდან გასვლამდე რომ უნდა წავიხემსოთ, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ყველამ არ ვიცით, რა უნდა მივიღოთ და, რა—არა. თუ ამ საკითხში გავერკვევით ე.ი. თუ კეთილ მრჩევლებს დავუჯერებთ, ეს ჩვენი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საქმეში ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

მაშ ასე, დილით რას ვუთხრათ უარი?

ძეხვის ბუტერბროტი: ის დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმებსა და მასში ცოტა რამ თუა სასარგებლო.

გადამუშავებული ხორცეული: ძეხვები, სოსისები, შებოლილი ხორცი, ბეკონი, პაშტეტი და მსგავსი პროდუქტები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ისეთივე რისკის ჯგუფში გააწევრიანა, როგორიცაა თამბაქო. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ გადამუშავებული ხორცი რამდენჯერმე ზრდის საჭმლის მომნელებელი სისტემის სიმსივნის რისკს. ამიტომ, ასეთი პროდუქტები დღეში მხოლოდ 50 გრამის ოდენობით უნდა მირთვათ.

ფორთოხალი: როდესაც ადამიანი მშიერ კუჭზე ჭამს ფორთოხალს, ან მის წვენს სვამს, ამით პროვოცირებს ალერგიას და გასტრიტს! თუ მაინცდამაინც ვერ ელევით დილით ახლად გამოწურულ ფორთოხლის წვენს, მაშინ, იცოდეთ ჯერ აუცილებლად მირთვით რაიმე ფაფეული.

ბანანი: საუზმეზე ბანანის ჭამა ხელს უწყობს გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებას. მერე რა, რომ ბანანი სავსეა ვიტამინებითა და მინერალებით. ის დილით, უზმოზე შხამია! ბანანი შეიცავს ბევრ მაგნიუმს და მისი უზმოზე მიღება არღვევს ორგანიზმში არსებულ კალციუმ-მაგნიუმის ბალანსს.

უმი ბოსტნეული: საუზმეზე მირთმეული კიტრი, კომბოსტო თუ ბულგარული წიწაკა პირდაპირი გზაა კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებისაკენ! ეს პროდუქტებში შემავალი დიდი რაოდენობის მჟავების ბრალია. ამიტომ, თუ თქვენ დილაობით კიტრს მიირთმევთ, ეს შეიძლება, სხვადასხვა სახის გასტრიტით დამთავრდეს!

ცივი სასმელები: დილით ცივი კოკა-კოლის, თუ მსგავსი სასმელების დაგემოვნებით თქვენ ხელს უშლით ორგანიზმის საჭმლის მომნელებელი სისტემის ნორმალურ ამუშავებას, ამიტომ უკეთესია, თუ ცივ „ფანტას“ კი არა, თბილ ჩაის დალევთ.

ტკბილეულობა: დილით გაღვიძებული ორგანიზმის კუჭქვეშა ჯირკვალს არ შესწევს უნარი, სათანადო რაოდენობის ინსულინი გამოიმუშაოს. ინსულინი კი აუცილებელია შაქრის დასაშლელად და მის მოსანელებლად. ამიტომაც, როდესაც დილით საუზმეზე თქვენ ნამცხვრებსა და ტორტის ნაჭრებს მიირთმევთ, მით ძირს უთხრით საკუთარ ჯანმრთელობას, რადგან თავადვე პროვოცირებთ სისხლში შაქრის აწევას, გარდა ამისა, შაქარი მჟავების წარმომქმნელი პროდუქტია და მისი დილით მიღება არღვევს ორგანიზმში არსებული მჟავა-ტუტოვან ბალანსს.

ყავა: დილით ფინჯანი ყავა ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში, მაგრამ ეს დღის ცუდი დასაწყისია, უზმოზე ყავის მიღება აღიზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ზედმეტი კუჭის წვენის გამოყოფას, ეს კი გასტრიტის წინაპირობაა, ამიტომ, ფინჯანი ყავა გვერდზე გადადეთ და ჯერ ისაუზმეთ!

ნიორი, კონსერვირებული და შებოლილი პროდუქტები: დილით უზმოზე ასე სასარგებლო ნიორის მიღება საჭმლის მომნელებელი სისტემის შოკს—ე.წ. გასტრიტს იწვევს. იგივეს იწვევენ სხვადასხვა კონსერვები და შებოლილი ქათამი თუ სხვა ხორცეულობა.

ახლა გთავაზობთ პროდუქტების ჩამონათვალს, რომელიც უნდა მიირთვათ დილით საუზმეზე.

წყალი: დიახ, დაიწყეთ დილა უბრალო წყლით! ორგანიზმისათვის აუცილებელია წყალი, რადგან ჭიქა წყლის მიღებით თქვენ აცოცხლებთ მთელ ორგანიზმს! უკვე 15 წუთში თქვენი სხეული სიმხნევით გაგაკვირვებთ—ანუ ორგანიზმში ზუსტად ის მოხდა, რაც სჭირდებოდა საუზმისათვის.

კვერცხი: კვერცხი ცილის ბუნებრივი წყაროა. ასევე მასში შედის ვიტამინი „ა“ და რკინა. სწორედ კვერცხში შემავალი ცილების დამსახურებაა, რომ მისი მიღებით ორგანიზმი დანაყრებულად გრძნობს თავს და აღარ სჭირდება ზედმეტი კალორიები.

ფაფები: ფაფები და ბურღულეული ნახშირწყლების ძირითადი წყაროა. ფაფას ორგანიზმი ადვილად ითვისებს და კარგა ხნითაც განაპირობებს დანაყრების შეგრძნებას.

ყველი: ის შეიცავს ბევრ ცილას და კალციუმს. ამიტომაც არის, რომ საუზმის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო კომპონენტია.

კეფირი, მაწონი და იოგურტი: ყველის არ იყოს მათში უამრავი ცილა და კალციუმია. ეს პროდუქტები ასტაბილურებს საჭმლის მომნელებელ სისტემას, აძლიერებს ადამიანის იმუნიტეტს და იცავს ჩვენს ორგანიზმს სტრესებისგან.

ქათმის ხორცი: თამამად მიირთვით საუზმეზე. ეს პროდუქტი სავსეა ცილებით და პრაქტიკულად არ შეიცავს ცხიმებსა და ნახშირწყლებს. მოხარშული ქათმის ხორცი საუკეთესო საუზმეა, რადგან ის დაგანაყრებთ კიდეც და ნაკლებ კალორიასაც მიიღებთ.

თაფლი: თაფლის შემადგენლობაში არსებული ანტისეპტიკური ნივთიერებები ებრძვიან სხვადასხვა ვირუსებს და ბაქტერიებს.

და ბოლოს: დაიცავით ყველა ეს რჩევა და სამყარო თქვენთვის გახდება უფრო მშვენიერი და საამო.

მასალა მოამზადა
ნ. იმერლიშვილმა

ირაკლი დოლაკიძე

ოთხი წელი უშენოდ

დღეს, 12 ივნისს, შენი დაბადების დღეა ირაკლი, 67 წლის გახდებოდი. ოთხი წელი გავიდა, რაც აღარ ხარ ამ სოფლად. საყვარელი ადამიანის დაკარგვა ნებისმიერი ადამიანისათვის მტკივნეული მწუხარებაა, მენატრები, ღმერთო, როგორ მენატრები! გულის ტკივილამდე, სულის კივილამდე... ტირილამდე... ბოლომდე ვაცნობიერებ იმას, რომ შენით ვსულდგმულობდი, შენით ვსუნთქავდი, შენით და შენთვის ვარსებობდი!

არ არსებობს სიტყვები, რომ გამოვხატო ჩემი სულის მთელი ტკივილი და მწუხარება. ასე ადრე წახვედი (დაგვტოვე), ისე, რომ არ დაგვემშვიდობე და არც გითქვამს ჩემთვის, როგორ უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება უშენოდ.

ზოგჯერ ვერავის აუხსნი, რომ ღიმილის მიღმა უამრავი საფიქრალი, ცრემლი და დარდი გაქვს დამალული.

ვერავის აუხსნი, რომ სულიერად ხარ დაღლილი და ეს ყველაზე მძიმე და საშინელი განცდაა, რომელიც სიცოცხლის ხალისს გაკარგვინებს, მაგრამ მაინც, რაღაც სასწაულის ძალით აიძულებ საკუთარ თავს, რომ სიარული განაგრძო და იმ ადამიანებს არ უმტყუნო, შენი იმედი რომ აქვთ...

ჰო, ამ ყველაფერს ზოგჯერ ვერავის აუხსნი, ამიტომაც იღიმი და ერთი შეხედვით, უდარდელად პასუხობ, რომ კარგად ხარ და ყველაფერი ძალიან კარგად არის შენს ცხოვრებაში.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ დიდი ტკივილი ხარ ჩემთვის. დრო ვერ შეძლებს იმ სიყვარულის დავიწყებას, რაც ჩვენ გვაკავშირებდა.

განშორების ტკივილი განუკურნებელია. ეს ხომ სამუდამო განშორებაა იმ სოფლად შეხვედრამდე.

პოეტმა, გონერი მოსელიძემ ირაკლის ხსოვნას ეს მშვენიერი ლექსი მიუძღვნა. ერთხელ კიდევ ვიმეორებ ამ ლექსს:

დრო და დრო ზეცას ეხსნება გზები,
სხეული ხდება თავისუფალი
და ანგელოზის უხილავ ფრთებით,
გარდაუვალად გვიხმობს უფალი.
უსუსურობის განცდა, რომ დაგღლის,
ცრემლისგან დაგცლის ბედის სიავე,
გართმევენ შენი სიცოცხლის ნაწილს,
რა უმწეოა ადამიანი.
რა უმწეოა, როცა ცხოვრების,
წუთისოფელი მიხურავს კარებს,
დრო გამწირავი და ულმობელი,
მონიშნავს შენთვის ძვირფას სამარეს.
ცა რომ გადიდდეს და არ დასრულდეს,
როგორც მზის ჩასვლა, როგორც დაისი,
მიეგებება ვით სულს სასურველს
სამეფო უფლის და საბრძანისი.
შენ მიძინებულს უსასრულობით,
აქ დარდიანად გაგიხსენებენ,
ანგელოზები შენი სტუმრობით,
ცათა სასულეთს დაიმშვენებენ.

ნუ დაღონდები, ჩემო ირაკლი, შენნაირი კაცის დავიწყება არ შეიძლება. მშვიდობით იყავ შენს მყუდრო ძილში. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური თერჯოლის მიწა.

მეუღლე

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

მარიამ კირკიტაძე

ალექსი შარვაშიძე

გაბრიელ ძოწენიძე

ზურაბი ჩქიმიკოჩა

ნინო სახელაშვილი

დაჩი საყვარელიძე

მომავლის საქართველოს დღევანდელი პატარები...

სამყაროს ხიბლი, მშვენება და ბედნიერება ეს პატარები არიან, ჯერ კიდევ საბავშვო ბაღებში რომ დგამენ პირველ ნაბიჯებს ცოდნის მისაღებად.

საბა რობაქიძე

ანდრია კუპატაძე

მათე ქურციკიძე

დიახ, საქართველოს უკეთეს მომავალს სწორედ აქ, შემდეგ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო დაწესებულებებში ეყრება საფუძველი...

როგორი განათლებული და ზნეკეთილი თაობებიც გაიზრდებიან, მასზეა დამოკიდებული როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა მომავალში.

თერჯოლელ მოსწავლეთა შორის სულ უფრო იზრდება წარმატებულ ახალგაზრდათა რაოდენობა, რაც იმედისმომცემი და მისასალმებელია.

იმედია, ეს პატარებიც, ფოტოებიდან რომ გვიღიმიან, სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეებად და პატრონებად აღიზრდებიან.

სიკეთე, სიხარული და უფლის წყალობა არ მოკლებოდეს საქართველოს მომავალს...

ნიკოლოზ მაჭარაშვილი

თეკლა ზაქარაშვილი

გიორგი ჯინჯიხაძე

ოთო ალავიძე

მათე ქურცაძე

ვახო მაჭარაშვილი

ლილე კირკიტაძე

ნიტა ჭანკვეტაძე


ტასო ჭანკვეტაძე

სესილი და ანასტასია ბუცხრიკიძეები

ქეთი აფხაიძე

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872